„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთი №2, 2000 წ. ფასი 30 თეთრი

**ინფორმაცია კოლხური კოშკიდან**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომის დღის წესრიგი**

გვ. 3



**ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან**

**ვინ უფრო დამნაშავეა – ფაქტობრივი ხელისუფლება თუ?..**

გვ. 4








**კადრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან**

**„მე ჩემი თვალით ვნახე ფულით სავსე ტომარა“...**

გვ. 5

**ისტორიის გაკვეთილები**

**სოლომონ მეფე ყოველგვარ ზომებს იღებდა ქვეყნის გადასარჩენად**

გვ. 5

**ეკონომიკა**

**საქმე გვაქვს ტოტალურ კორუფციასთან, რომლის ფარგლებიც სცილდება საქართველოს საზღვრებს...**

გვ. 6

**უზენაესი საბჭო**

**ამ კაბალურ-მოღალატურ ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა არა აქვს**

გვ. 4

**მეცნიერება**

**თარიშ ემხვარის მითოლოგიური ორქეციჰები**

გვ. 7

# როგორ დაიწყო და დასრულდა გასული ათასწლეული

„ქუჯის" მკითხველო!

2001 წლის 1 იანვრით არა მხოლოდ ახალი წელი ან ახალი საუკუნე, არამედ ახალი – მე-3 ათასწლეულიც იწყება. ასე, რომ გილოცავთ ამ უიშვიათეს სამებს-ახალს, რომლის მსგავსს, მართლაც, რომ ათასში ერთხელ ესწრებიან.

პირველ რიგში, მაინც გილოცავთ დამდეგ შობასა და ახალ წელს; გისურვებთ თქვენი რწმენა, თქვენი სამშობლო-ქვეყანა და თქვენი გენი მე-4 ათასწლეულს შეხვედროდეს და მაშინაც ენავარდოს დიდი წარმატებებით; მე-4 ათასწლეული ხომ მართლაც კოსმიური — უსაზღვროსივრციანი საუკუნე იქნება...

წარსული საუკუნე მაინც ტრაგიკულად მრგვალია: საუკუნის დასაწყისიდან 7 წელი იყო გასული, როცა ილია მოკლეს; საუკუნის დასასრულიდან 7 წლით ადრე, ასევე ვერაგულად მოკლეს ზვიად გამსახურდია;

მრავალსაუკუნოვანმა ქართველობამ თავისი იდუმალ-ამოუწურავი შესაძლებლობების გამოვლენა ერთიანი საქართველოს სიმბოლოს – ბაგრატის ტაძრის მშენებლობის იდეის ხორცშესხმით დაიწყო; ათასწლეულის დასასრულს ბაგრატის ტაძრის კონტურებიღა გვაქვს მხოლოდ შენარჩუნებული.

წარმავალ ათასწლეულში საქართველომ სამყაროს უდიდეს კატასტროფებს გაუძლო და გადარჩა:

ვერც მონღოლურმა ჯანღმა, ვერც თურქსელჯუკურმა ურჯულობამ, ვერც სპარსულმა ფარსმა და ვერც ველიკორუსულმა ვირეშმაკობამ წალეკა ჩვენი სამშობლო! მაინც ავდექით ცოტნე დადიანად და გიორგი ბრწყინვალედ, ქეთევან წამებულად და თეიმურაზ 1-ად, ილია მართლად და აკაკი წერეთლად, ზვიად გამსახურდიად და მერაბ კოსტავად... ასეთი იყო მე-2 ათასწლეული...

წარმავალ საუკუნეში დამოუკიდებლობა ორჯერ გამოვაცხადეთ: პირველად მალევე დავკარგეთ, მაგრამ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება ისეთი ლოგიკური საფუძვლებით და ძლიერი ნებით მოხდა, რომ აგერ უკვე 9 წელია პუტჩის მემკვიდრე უკანონო ხელისუფლება თავდაუზოგავად ჩუქნის მას (დამოუკიდებლობას!) ხან რუსეთს, ხან დასავლეთს თუ აღმოსავლეთს და მაინც ვერ გალია... თუმცა ამასობაში ნელ-ნელა პატარავდება საქართველო... ახალ საუკუნეში, 1991 წლის 31 მარტს გამოცხადებული ერის ნებით, კანონიერი ხელისუფლების მიერ შენარჩუნებული სამართალმემკვიდრეობით აღჭურვილნი და იურიდიულად დამოუკიდებელნი შევდივართ, თუმცა კომუნისტ-„პატრიოტთა" მიერ დანიავებული ქართული სახელმწიფოებრივ-კულტურული ველის გამთლიანება, სწორედ, მომავალ საუკუნეში მოხდება!



წარსული საუკუნე მაინც ტრაგიკულად მრგვალია: საუკუნის დასაწყისიდან 7 წელი იყო გასული, როცა ილია მოკლეს; საუკუნის დასასრულიდან 7 წლით ადრე, ასევე ვერაგულად მოკლეს ზვიად გამსახურდია;

ამ ორი დიდი ადამიანის მოწამეობრივი აღსასრულით საქართველომ ნათლად გააცნობიერა მათ მწამებელთა – უღმერთოუსულღმრთო ათეისტთა და სოციალ-დემოკრატთა კაენური სულიერება...



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ათასწლეულის ბოლო წელიწადი კი მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს:

საკუთარი უზნეობის მონელებით იხარჯებიან საქართველოს მტრები; ისინი იწრიტებიან მეორე ათასწლეულთან ერთად, ჩვენ კი გველეშაპის ფერდიდან გამოსულ ამირანს ვგავართ, უფრო მეტად შემართულს საბრძოლველად, უფრო ძლიერს, მაგრამ ჯერ ისევ უწვერულვაშოს (თუ წვერულვაშგაცლილს) – ქვესკნელში გავლით ხომ გმირის, ამ შემთხვევაში, ქართველური სულიერების, ხელახალი შობა – ინკარნაცია ხდება! ჩვენ არ ვბერდებით!

ქუჯისა და ბაგრატის განწყობით შევდივართ ახალ ათასწლეულში ქართველები, ფარნავაზისა და აღმაშენებლის გონებით დავსახლდებით 21-ე საუკუნეში...

ჩემო თანამემამულენო!

უიმედო კაცი ულვთო ჭურჭელია, რომელიც სიკეთითა და სიყვარულით ვერასოდეს აღივსება; ჩვენ ბნელ საუკუნეებს გავუძელით ქრისტეს რწმენით; მომავალი საუკუნეები კულტურული წალეკვით მხოლოდ ფესვსუსტ ერებსა და სახელმწიფოებს ემუქრება; ჩვენ კი ჩვენს ღრმადკულტურულ ძირებს ისევ ავანერგ-ავანგარდ-ავაყვავილებთ!

გილოცავთ ახალ წელს!
ახალ საუკუნეს!
ახალ ათასწლეულს!

ტარიელ ფუტკარაძე



დადა-ქუჯაიელო:

ამ ახალი წლის ღამეებს ეს ფიქრი მიდის ძალია-უნებურად, რომ ყველამ მიიტანოს წარსული წლის შეცდომები და ახალ წელს მივეგებოთ, ახალი ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავიჭედოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელი ქვეყნის შვილებიც ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალღონის დაგვარად რაც - კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს - ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვ. თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის ვიქნებით კარგი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისათვის სასარგებლონი ვიქნებით.

# ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

2000 წლის 23 დეკემბერს თბილისში (კოლხურ კოშკში) ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

SUPREME COUNCIL OF THE REPUBLIC OF GEORGIA

თბილისი, გალის ქ. №19
ტელ.: 22 15 87

Tbilisi, Gali st. No19
Tel.: 22 15 87

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის 2000 წლის 23 დეკემბრის სხდომის

### დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. (მომხს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გოგაძე)
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დღევანდელი პოზიცია. (მომხს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დალი ფიროსმანაშვილი)
3. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მემორანდუმის შესახებ. (მომხს. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი მანანა არჩვაძე - გამსახურდია)
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებები, განცხადებები, მიმართვები. (მომხს. იურიდიული მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ბიმურზა აფრასიძე)
5. სხვადასხვა.



# საქართველოს სხვა ახალი ამბები

რუსეთიდან ჩვენი ქვეყნის მიმართ ისმის მოთხოვნა, რომ ერთად გაკონტროლდეს საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი.

ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ამ საკითხის ირგვლივ გაჩენილ ეჭვებს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, ვითომცდა სიტუაციის ნეიტრალიზაციის მიზნით, თანხმდება ამ წინადადებას? და პანკისის ხეობაში გატარდება ანალოგიური პოლიტიკა რაც 1921 წელს ბორჩალოს მაზრაში გათამაშდა?

◆◆◆

პანკისის ხეობაში შექმნილი დაძაბული სიტუაციის გამო, იქაური ქისტები ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან პოლიციის გაძლიერებას მოითხოვდნენ.

რას უნდა ნიშნავდეს ეს?

აძლევს თუ არა ხელს ფაქტობრივ ხელისუფლებას ხეობაში არსებული დაძაბულობა, ან სულაც, ხედავს, თუ არა მოსახლეობა შექმნილი მდგომარეობის ხელოვნურობას?

ყოველივე მომხდარიდან გამომდინარე, დაკვირვებული თვალი აშკარად დაინახავს ფაქტობრივი მთავრობის სურვილს - გამწვავდეს სიტუაცია, რათა საშუალება მიეცეს განახორციელოს თავისი მიზნები და ისევ გაასხვისოს პანკისის ხეობა, როგორც სამაჩაბლო და აფხაზეთი.

# ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

კათოლიკური შობის დღეს აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ერთ-ერთ ქალიშვილს, 19 წლის ჯენის, ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს. მან წარმატებით ჩაიარა. გოგონას ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია. ის, შესაძლოა, მალე გამოეწეროს და ჩაფრინდეს მამასთან ფლორიდაში, სადაც ბუშის მთელი ოჯახი შეიკრიბება საახალწლო ზეიმზე.

ooo

აშშ-ში თარგმნეს წიგნი სენსაციური მასალით, რომელიც წლის დასაწყისში ხელთ იგდო პენტაგონმა. იგი მალე გავრცელდება წიგნის ბაზარზე. ავტორები არიან ჩინეთის დაზვერვის მაღალი რანგის ვეტერანი ოფიცრები. ისინი მოგვითხრობენ იმ მეთოდებზე, რომლებითაც სარგებლობდა მათი სპეცსამსახური სხვა ქვეყნებში საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მასში საუბარია, აგრეთვე, თუ როგორ მოპარა ჩინეთის სამხედრო დაზვერვამ აშშ-ს ბირთვული იარაღის საიდუმლო მასალები. მათივე თქმით, დასავლეთის ქვეყნებში საიდუმლო ინფორმაციის 80%, შესაძლოა, თავისუფლად მოიპოვო ღია წყაროებიდან.

ooo

შვეიცარიამ არგენტინას გადასცა ბრაზილიელი ანტისემიტი აქტივისტი ვილსონ რობერტო დოს სანტოსი. იგი იძებნებოდა 1994 წლიდან ბუენოს-აირესის ებრაული კულტურის ცენტრში მომხდარი აფეთქების გამო, რომლის დროსაც 86 ადამიანი დაიღუპა. მას ბრალად ედება პოლიციისათვის ცრუ ჩვენების მიცემა იმ მიზნით, რომ გამოძიება ჩიხში მოექცია.

ooo

შობის წინა კვირა საღამოს ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მოხდა სამი ტერორისტული აფეთქება, რომლის დროსაც დაიღუპა ცამეტი და დაშავდა ასზე მეტი ადამიანი. აქცია ორგანიზებული იყო ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ფუნდამენტალისტ-ექსტრემისტების მიერ.

ooo

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე დაინიშნა შეერთებული შტატების თავდაცვის ექს-მინისტრი 68 წლის დონალდ რამსფელდი. იგი 1995 წლიდან სათავეში უდგას აშშ-ს კონგრესის უშიშროების პრობლემათა კომისიას. არის, აგრეთვე, სარაკეტო შეიარაღების სპეციალისტი. ადრე რამსფელდი იყო კონგრესის დეპუტატი ილინოის შტატიდან და ამერიკის ელჩი ნატოში. ასე რომ, იგი საკმაოდ საინტერესო და სოლიდური გამოცდილების მქონე პოლიტიკოსია, რომლის მიმართ ყურადღებას არ მალავს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია.

ooo

იუგოსლავიის ახალი დემოკრატიული მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, სასამართლოს გადასცეს ქვეყნის ყოფილი კომუნისტი დიქტატორი სლობოდან მილოშევიჩი. მასმედიისათვის ეს განცხადება გააკეთა იუგოსლავიის ახალმა პრეზიდენტმა ვოისლავ კოშტუნიცამ.

ooo

ამერიკა შეაზანზარა ახალმა მასობრივმა მკვლელობამ. ერთ-ერთი კომპიუტერული ფირმის მოსამსახურემ ავტომატ ფლ-47-დან ცეცხლი გაუხსნა თავის თანამშრომლებს. დაიღუპა შვიდი ადამიანი.

ooo

ცნობილი გახდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა დაიწყეს პრეზიდენტ პუტინის ორეულების ძებნა. რამდენიმე კანდიდატურა უკვე მოძიებულია. ალბათ, რომელიმე მათგანი საჭიროების შემთხვევაში „შეცვლის" პრეზიდენტს.

ooo

ალკოჰოლური სასმელების ზომიერი მიღება ზრდის ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი ექიმები, რომლებმაც 2000 პაციენტი გამოიკვლიეს, მაგრამ ოპონენტების აზრით, საქმე ალკოჰოლში არაა. უბრალოდ, იაპონელებს ძალიან უყვართ სპირტიან სასმელებზე ყველისა და თევზის მიყოლება. სწორედ ისინი მოქმედებენ დადებითად ინტელექტზე.

ooo

ინგლისის ბანკმა ემისიაში გაუშვა ახალი 10 ფუნტიანი ბანკნოტი. მის წინა მხარეს გამოსახულია დედოფალი ელიზაბეტ II, ხოლო უკანა მხარეს ჩარლზ დარვინი. ადრე ამავე ღირსების ფულის მეორე მხარეზე ჩარლზ დიკენსი იყო გამოსახული.

ooo

მოსკოვში მორიგი სისხლიანი აქცია მოეწყო: დიმიტროვის გზატკეცილზე საცხოვრებელი სახლის წინ დაცხრილეს ორი კავკასიური წარმოშობის ადამიანი. ერთი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე უგონო მდგომარეობაშია. მკვლელი მიიმალა.

ooo

ჩეჩნეთში კვლავ გრძელდება გააფთრებული ბრძოლები რუსეთის ფედერალურ არმიასა და ჩეჩენ პატრიოტებს შორის. რუსეთის „ომონის" მობილური ჯგუფი ერთ-ერთ მთიან რაიონში ალყაში მოაქციეს ჩეჩენმა პარტიზანებმა და გაუხსნეს მასირებული ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა სამი მილიციელი. ჩეჩენმა მებრძოლებმა ააფეთქეს, აგრეთვე, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელთა ავტომანქანა.

ooo

დეკემბრის ერთ-ერთ ღამეს, უცნობი პირების მიერ გროზნოში აფეთქებული იქნა გაზსადენი. ამის გამო, გათბობისა და გაზის მიწოდება შეუწყდა ქ. გუდერმესს. როგორც რუსების სამხედრო კომენდატურიდან აცნობეს სააგენტო „ინტერფაქსს", ოპერატიული ჯგუფი იძიებს აღნიშნულ დივერსიულ ფაქტს.

ooo

ინგუშეთში განთავსებულ ლტოლვილთა ბანაკებში გაიმართა საპროტესტო მიტინგი, სადაც ჩეჩენმა დევნილებმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინისაგან მოითხოვეს იჩქერიის პრეზიდენტ ასლან მასხადოვთან მოლაპარაკების დაწყება. მათი ლოზუნგი გახლდათ „ჯარების გაყვანა". ჩეჩენ ხალხს მიაჩნია, რომ მხოლოდ მოლაპარაკების შედეგად არის შესაძლებელი მათი საკუთარ სახლებში დაბრუნება. უნდა აღინიშნოს, ჩეჩენ ლტოლვილთა გაუსაძლისი პირობები კარვების ბანაკში, სადაც არ მიეწოდებათ გაზი, გათბობა, წყალი და მოკლებულნი არიან ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს.

როგორც ჩეჩნეთში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა რწმუნებულმა ვიქტორ კაზანცევმა განაცხადა, შესაძლოა, კრემლი წავიდეს მოლაპარაკებაზე გენერალ ასლან მასხადოვთან, თუკი „ის წერილობით აღიარებს საკუთარ შეცდომებს". კაზანცევმა გამორიცხა ყოველგვარი შესაძლებლობა მოლაპარაკების გამართვისა საველე მეთაურებთან ხატაბისთან და შამილ ბასაევთან.

ooo

ინგუშეთში არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა დელეგაცია, რომელსაც სერგეი კოვალიოვი ხელმძღვანელობდა. ისინი იქ შეხვდნენ პრეზიდენტ მასხადოვის წარმომადგენლებს. როგორც კოვალიოვმა განაცხადა, კრემლმა მას არაოფიციალურად მისცა უსაფრთხოების გარანტია. მისი აზრით, იქ მიმდინარე პარტიზანული ომის მოგება თითქმის შეუძლებელია და თუკი ეს მაინც მიიღწევა, მხოლოდ ერთი ხერხით და მას საშინელი სახელი - ჩეჩენი ერის გენოციდი ერქმევა!

ooo

მუსულმანთა წმინდა თვის რამაზანის დასრულებასთან დაკავშირებით ჩეჩენი ერის წინაშე პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა განაცხადა, რომ ჩეჩენი ხალხი გახდა უთანასწორო სისხლიანი ომის მსხვერპლი, რისი შედეგიცაა ასეულ ათასობით უსახლკარო, ათეულ ათასობით დაღუპული და ასი ათასზე მეტი დაჭრილი თანამემამულე. თუმცა გამოთქვა რწმენა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩეჩენი ხალხი არ დამარცხებულა და აუცილებლად გაიმარჯვებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

## მრუდე სარკე და სინამდვილე

*მრუდე სარკეში:*

ევროპიდან დაბრუნებულმა ფაქტობრივი ხელისუფლების სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა განაცხადა, რომ იგი ბედნიერია, რადგანაც ევროპაში კარი გაუღეს, მიიღეს და მასთან გასაუბრებაც ინებეს. ჩვენს წინაპრებს ესეც არ ღირსებიათო- აღნიშნა მან.

სინამდვილე:

ფაქტობრივი ხელისუფლების სახელმწიფო მინისტრს შევახსენებთ: მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა ლუდოვიკომ ალოდინა, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ევროპელები აქეთ სთხოვდნენ დახმარებას.

საინტერესოა, რატომ მიიჩნევს არსენიშვილი ქართველებს დაბალი რასის წარმომადგენლებად?

*მრუდე სარკეში:*

„საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების“ პროექტში დაიბეჭდა ედუარდ შევარდნაძის შესავალი სიტყვა, სადაც ამბობს: „უდიდესმა პასუხისმგებლობამ მშობელი ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი მათქმევინა საზარელი სიტყვები: თუ ჩვენ ვერ განვკურნეთ ერი კორუფციის საზარელი ავადმყოფობისაგან, საქართველოს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს, მომავალი არა აქვს“.

სინამდვილე:

ედუარდ შევარდნაძე რომ პასუხისმგებლობას გრძნობდეს ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი, არ იქნებოდა ერთ-ერთი ინიციატორი 1991-92 წლებში დატრიალებული ტრაგედიისა და არ გაასხვისებდა სამაჩაბლოს, აფხაზეთს.

*მრუდე სარკეში:*

„საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების“ პროექტში დაიბეჭდა ედუარდ შევარდნაძის შესავალი სიტყვა, სადაც ამბობს: „დოკუმენტში აღწერილია კავშირი კორუფციასა და კონტრაბანდას შორის. დასახელებულია მიზეზები, რომელთა დაძლევას სამოქალაქო ომისა და პოსტკომუნისტური ნგრევის შემდეგ მოითხოვდა ხანგრძლივ დალისხმევას“.

სინამდვილე:

ადამიანს, რომელიც სახელმწიფოს სათავეში სისხლით არის მოსული, არა აქვს უფლება, ისაუბროს კორუფციაზე, რადგან თავად არის ყველაზე მეტად კორუმპირებული პირი.

დანაშაულია, 1991-92 სისხლიანი წლების ინიციატორმა პუტჩი სამოქალაქო ომად გამოაცხადოს.

**სოფიო კაშაძე**

## „ამ კაბალურ-მოღალატურ ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა არა აქვს“



ზვიად გამსახურდია 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე აცხადებდა: „ჩვენ არ გვსურს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტო ქაღალდზე დარჩეს, გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი მომზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით...“

„... საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია, იურიდიული თვალსაზრისით, დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედება ანექსიის შედეგად დროებით შეჩერდა. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არცერთი უცხო ქვეყნის კონსტიტუცია... ფაქტობრივად მოქმედებს მხოლოდ საბჭოთა, მაგრამ დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, საქართველოში არასაბჭოური არჩევნების შედეგად მის ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც ეცლება საფუძველი... არჩევნები გაიმართა საბჭოური კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე, ხოლო პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პარიტეტის პრინციპით იყო დაკომპლექტებული, რეგისტრაცია არ ყოფილა რეგლამენტირებული არსებული კონსტიტუციით. ეს უდიდესი მიღწევაა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა, მსოფლიო განცვიფრებულია აღნიშნულით“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის 1991-92 და 1993 წლების ოკუპაციისა, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, ამის გამო გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია, კანონიერი ეროვნული ხელისუფლება - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იურიდიულად ქ. თბილისში განაგრძობს მუშაობას (მისამართი: ქ. თბილისი, კოლხური კოშკი), საქართველოს ტერიტორია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ძალით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, მთლიანი და განუყოფელია. აღნიშნულიდან გამომდინარე ყარსის, მოსკოვის, დაგომისის, სოჭის, სოხუმის, 1994 წლის 4 აპრილისა და 2000 წლის 11 ივლისის საქართველოსათვის კაბალურ-მოღალატური ხელშეკრულებები იურიდიული ძალის არმქონეა. ასევე ანტიკონსტიტუციურია დსთ-ში საქართველოს შესვლა, ე.წ. „მშვიდობისმყოფელთა“ ყოფნა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, 25 წლით რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონება საქართველოში, ვინაიდან ყოველივე ეს ეწინააღმდეგება უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე წლის 15 სექტემბერს რუსეთის ჯარებს მიანიჭა საოკუპაციო სტატუსი და დაადგინა მათი დაუყონებლივ გასვლა საქართველოდან. ზვიად გამსახურდია, სწორედ, ამიტომ არ გადადგა. მან ამით საქართველოს დაუტოვა გადარჩენის შანსი - ესაა კანონიერი ხელისუფლების - რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფაქტობრივი აღდგენა, პარიტეტულ საწყისზე ცსკ-ს შექმნა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. სწორედ, ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კონსტიტუციური ვაკუუმის თავიდან აცილება, სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვა, კაბალური ხელშეკრულებების გაუქმება, მოსახლეობისათვის მისი კუთვნილი ქონების დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მოსახლეობისათვის კატასტროფის აცილება.



პუტჩის შედეგად გადამწვარი კოლხური კოშკი

ზვიად გამსახურდია ამბობდა, რომ „გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი უნდა დაფუძნდეს არსებულ კონსტიტუციაზე, მასში ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნას კონსტიტუციური ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე, რომელიც საფუძვლად დაედება უკვე დამოუკიდებელ საქართველოს“.

## უზენაესი საბჭო



აი რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ქართველი მამულიშვილი 1990 წლის 14 ნოემბრის თავის სიტყვაში კონსტიტუციური უწყვეტობის შენარჩუნებას, სამართლებრივ-იურიდიულ მემკვიდრეობას.

და ბოლოს, აღნიშნულ სესიაზე ზვიად გამსახურდია ამბობს: „ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა უწინარეს ყოვლისა რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც დღეს ერთად უნდა იყოს ჩვენი ერი და ეკლესია, ჩვენ ვებრძვით ულმერთობას და უსამართლობას, უკუნით ღამეს, ჩვენს მართალ საქმეს განგება მფარველობს და ამიტომაც უნდა დავამარცხოთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით, ულმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით, ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიქველის გზაა, ქრისტეს გზაა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე“.

დღეს, სწორედ, ამ სიტყვების ერთგულია საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრავალი მაგიდა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ცენტრი ისევე როგორც დიდი კონსტანტინეს, ზვიადისა და მერაბის დროს, დღესაც კოლხური კოშკია და იგი მიიყვანს ქართველ ერს ჭეშმარიტ თავისუფლებამდე.

**ბიმურგა აფრასიძე-**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი.**

## ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან

# ვინ უფრო დაინტერესდება - ხელისუფლება თუ?..

კორუფცია ქვეყნის ერთ-ერთი დამანგრეველი ფაქტორია. დღეს საქართველოში ყველაზე მეტად აღნიშნული საკითხი დგას, მაინც ვინ არის მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა, ვინ მიიყვანა ხალხი კორუფციამდე?!

იმერეთმა ახლახანს უმასპინძლა „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულების“ პროექტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს. შეხვედრა დანიშნული იყო ქ. ქუთაისის ქონების მართვის სამმართველოს დარბაზში. სტუმრებმა დაიგვიანეს, სიცივისაგან გათოშილ ხალხს ლოდინი მობეზრდა და წასასვლელად მოემზადა, მაშინ კი, ერთი ზღაპრისა არ იყოს, საიდან იყო და საიდან არა, ისინიც გამოჩნდნენ.

ხსენებული პროექტის შესახებ მოხსენება წაიკითხა დავით უსუფაშვილმა. მანვე აღნიშნა, სახელმწიფოს პარალიზებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის შესრულება კი არა, მისი მიღებაც კი შეუძლებელი გახდაო.

დარბაზიდან მრავლად ისმოდა შეძახილები. უსუფაშვილის განცხადებაზე - დღეს კატასტროფის წინაშე ვდგავართო, ხმა მოისმა: რატომ მიიყვანეთ საქმე აქამდე? განმცხადებელი მართალია ბევრს ეცადა დაერწმუნებინა დამსწრე საზოგადოება, არა ვარ მმართველი პარტიის წევრი და მხარდამჭერიო, მაგრამ მრავალნაცადმა აუდიტორიამ ეჭვის თვალით რომ დაუწყო ყურება, იკადრა ეთქვა - მე არა ვარ მისი მომხრე, მაგრამ სამაგიეროდ პრეზიდენტია ამ პროექტის მხარდამჭერი, ერთად ვათენ-ვაღამებდით მის შექმნაშიო. ხოლო როდესაც აღ-



ნიშნა, პრეზიდენტს ხელფასი 250 ლარი აქვსო, აღშფოთდა დარბაზი, ატყდა სიცილი, ზოგმა იმის თქმაც მოახერხა- იმიტომაც ატყავებსო ხალხს? დანარჩენმა კი „8 ლარით“ ოჯახის რჩენის შესაძლებლობებზე დაიწყო მსჯელობა და ხსენებული თანხა რომ ვერ გაანაწილა, გულში მწვანე შუქი აუნთო მოწოლილ ნაღველს და როგორც ჩანს, გულიც მოიჯერა. შემდეგ საკონდიტრო ქარხნის დირექტორმა პასუხი მოსთხოვა მომხსენებელს შეკითხვაზე - რო-

**ვინ აგებს პასუხს მკვლელობაზე, ის ვინც ისვრის, თუ ვინც მას ჩახმახის გამოკვრაში ეხმარება?**

გორ მომცეს გლეხმა, რომლისაგანაც მიწის თხილს ვყიდულობ, „დღგ“-ს ფაქტურა, რატომ უბიძგებთ მეწარმეებს უკანონობისაკენო? - შეცბა მომხსენებელი, ბევრი ისაუბრა საკითხის ირგვლივ, მაგრამ კითხვაზე პასუხი რომ არ გაუცია, ეს ნათელია.

კაცმა რომ თქვას, ებრძვის ფაქტობრივი მთავრობა კორუფციას: იღებენ ათასგვარ კანონებს, ამუშავებენ პროექტებს, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უარესდება. ერთ-ერთ ინტერვიუში იმერეთის საოლქო პროკურორმა თამაზ ჭუმბურიძემ აღნიშნა: რომ „კორუფციასთან ბრძოლა მაღალი ეშელონებიდან უნდა დაიწყოს, თუმცა რომელიმე მოხელის დაჭერითაც არ მოეღება მას ბოლო“ და მართალიც არის, მაღალჩინოსნების ხელშია თავმოყრილი ის ბერკეტები, რომლებიც კორუფციის საშუალებას იძლევიან. (მაგრამ საინტერესოა, თამაზ ჭუმბურიძე მაღალჩინოსნებში ვის გულისხმობდა - ედუარდ შევარდნაძეს თუ ზურაბ ჟვანიას?) არსებული საგადასახადო სისტემა საერთოდ გამორიცხავს პატიოსან ცხოვრებას.

აშკარაა, ყოველივე წინასწარ იყო ჩაფიქრებული და გათვლილი იმისათვის, რათა ქვეყანაში კორუფცია ყვაოდეს. „ლიფსიტებს“ იჭერენ, ხოლო „ზვიგენები“ კი ისევ თავისუფლად დანავარდობენ ცისფერ უკიდეგანო ზღვაში.

სიმართლის მთქმელს ენა მოჭრესო, ნათქვამია, მაგრამ არც ის მინდა, გურამიშვილი დამრჩეს მწყრალად, ციხეში არ მყავს შეკაზმული, მაგრამ უკანონობაზე თუ მიდგება საქმე, იმის გასხსნება არ გვაწყენდა, არსებული მთავრობა კანონიერად არის მოსული, თუ უკანონოდ, აქვს კი უფლება ყველაზე დიდ დამნაშავეს თავისი ნების აღმსრულებლები დაიჭიროს?!

და მაინც, ვინ აგებს პასუხს მკვლელობაზე, ის ვინც ისვრის, თუ ვინც მას ჩახმახის გამოკვრაში ეხმარება. მოდით ახლა და ბოშა ქალისა არ იყოს, ვიმკითხაოთ, ვინ უფროა დამნაშავე - ფაქტობრივი ხელისუფლება თუ...?

**ირმა ცხეიძე**

ჩვენი რწმენა

# ხორციელად შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სრულიად საქართველო მაცხოვრის შობას დღესასწაულობს ყოველი წლის 25 დეკემბერს (7 იანვარს ახალი სტილით).

აღსრულდა საუკუნეთა მანძილზე თქმული წინასწარმეტყველება: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი ქვეყნისა, იშვა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან ბეთლემის გამოქვაბულში. ეს მოხდა რომის იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიუსის დროს. მისი ბრძანებით საყოველთაო აღწერა უნდა ჩაეტარებინათ მთელს რომის იმპერიაში.

ქალწული მარიამი და მართალი იოსები ქალაქ ბეთლემში ჩავიდნენ, რათა იქ ჩაწერილიყვნენ კეისრის ქვეშევრდომთა სიებში.



დაღლილ-დაქანცულნი, იძულებულნი გახდნენ ქალაქგარეთ მდებარე ერთ-ერთი გამოქვაბულისათვის შეეფარებინათ თავი, რომელსაც საქონლის სადგომად იყენებდნენ მწყემსები ... „რათა არ იყო მათდა ადგილი სავანესა მას“ (ლუკა, 27).

სწორედ აქ, მღვიმეში, ყოვლადწმიდა ქალწულმა უმტკივნეულოდ და დახმარების გარეშე შვა ხორცშესხმული სიტყვა ღვთისა-უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ამ დროს არ ეძინათ ნახირის მეთვალყურე მწყემსებს. მათ დაინახეს, რომ უეცრად არაჩვეულებრივმა სინათლემ მოიცვა იქაურობა. შეეშინდათ კიდეც, მაგრამ უმალ ბრწყინვალე ანგელოზი გამოჩნდა და ყოველივე აუწყა. ისინი ბეთლემისაკენ გაეშურნენ და იხილეს ბაგაში მწოლიარე ყრმა, რომელსაც თაყვანი სცეს.

გარდა მწყემსებისა, ქრისტეს შობა აღმოსავლელ მოგვებსაც (ვარსკვლავთმრიცხველებს) ეხარათ კაშკაშა, ახალი ვარსკვლავის გამოცხადებით. ეს ვარსკვლავი უძღოდა მოგვებს მაცხოვრისაკენ. ისინი ეახლნენ ყრმას, თაყვანი სცეს და შესწირეს ძღვენი: ოქრო, მური და გუნდრუკი. ოქრო-როგორც მეფეს, მური - როგორც ადამიანს (მიცვალებულებს მურით ასუნნელებდნენ), გუნდრუკი - როგორც ღმერთს (რამეთუ გუნდრუკს ჩვენ ღმერთს ვუკმევთ).

მოგვებს ჩვენებით ეუწყათ, რომ არ ეცნობებინათ ჰეროდესათვის მაცხოვრის შობის ადგილი. ისინი სხვა მხარეს გაემართნენ და დაიწყეს ქადაგება ქრისტეს მოვლინების შესახებ.

ამაოდ მომლოდინე ჰეროდე მიხვდა, რომ მოგვები მასთან აღარ დაბრუნდებოდნენ, ვერც გაიგებდა შობის ადგილს. ამიტომ ტახტის დაკარგვის შიშით განრისხებულმა, რადგან ეგონა, რომ დაიბადა ქვეყნის ახალი მეფე, გასცა ბრძანება ბეთლემსა და მის შემოგარენში ყოველი ახალშობილი და ორი წლის ასაკამდე ბავშვი ამოეხოცათ. ჰეროდეს ბრძანება შესრულდა, რამაც თორმეტი ათასი უდანაშაულო ჩვილის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ახალშობილ ყრმა იესოს სიცოცხლე ზეციდან იყო დაფარული.

ქრისტეს ხორციელად შობის მოსახსენებლად წმიდა ეკლესიის მიერ ძველთაგანვეა დაწესებული დღესასწაული. თავის დასაბამს იგი ჯერ კიდევ წმიდა მოციქულთა დროიდან იღებს. მოციქულთა ერთ-ერთ პირველ დადგენილებაში ნათქვამია: „დაიმარხეთ, ძმანო, დღენი სასწაულებისანი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დღე ქრისტეს შობისა, რომელიც მეათე თვის (მარტიდან) ოცდამეხუთე დღეს აღნიშნეთ ხოლმე“.

იესო ქრისტეს ხორციელად შობა, ეს არის უდიდესი დღესასწაული, ზეიმი და გამოუთქმელი სიხარული მართლმორწმუნეთა. ქვეყნად შობილ მაცხოვარს შევევედროთ, რომ ახალი 2001 წელი სულიერი ერთიანობისა და კეთილდღეობის დასაბამი ყოფილიყოს, წელი სიყვარულისა და შერიგებისა.

პუბლიკაცია მოამზადა
თეა ცირეკიძემ

ისტორიის გაკვეთილები

# სოლომონ მეფე ყოველგვარ ზომებს იღებდა ქვეყნის გადასარჩენად

სოლომონ II, იგივე დავით არჩილის ძე, უკანასკნელი მეფე იმერეთისა, ნათლად გრძნობდა, რომ რუსეთის იმპერატორისათვის მიუღებელი იყო როგორც ბაგრატიონი და თავისუფლების მოყვარე მეფე.

1808 წელს რუსეთის მოხელე გენერალმა გუდოვიჩმა საიდუმლო ბრძანება მიიღო პეტერბურგიდან იმერთა მეფის ხელისუფლების გაუქმების და მეფის ოჯახის, როგორც საპატიო ტყვეების, რუსეთში გამგზავრების შესახებ.

სოლომონს ეს ბრძანება მხედველობიდან არ გამორჩენია და წინააღმდეგობა გაუწია გუდოვიჩს. იგი უარს ამბობდა პეტერბურგში იმპერატორთან გაეგზავნა მადლობის დეპუტაცია. სოლომონ II რუსეთ-თურქეთის ომის დროს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. იგი ფიქრობდა, რომ თუ რუსეთი დამარცხდებოდა, მისი სამეფოს მოსპობას უშუალო საფრთხე არ ემუქრებოდა. ოსმალეთი თავისი პრობლემების წინაშე იდგა ბალკანეთში და იმერეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება სურდა, რაც გამოიხატებოდა ახალციხისა თუ სხვა მოსაზღვრე საფაშოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში.



1809 წელს გუდოვიჩი წარუმატებლობის გამო გაათავისუფლეს და მის ადგილზე გენერალი ტორმასოვი დანიშნეს. ეს უკანასკნელი ენერგიულად შეუდგა სამეფო ხელისუფლების დამხობის საკითხის ორგანიზებას. ტორმასოვს გვერდს უმშვენებდა რენეგატი ქართველი გენერალი დიმიტრი ორბელიანი. იგი აქტიურად მოქმედებდა იმერეთის დასამორჩილებლად. მან სოლომონის საწინააღმდეგო პროკლამაციები გაავრცელა, თითქოს იმერეთის მეფე ხალხს ღალატობდა და თურქეთისაკენ მიისწრაფვოდა. ამ მოქმედებამ მიზანს ვერ მიაღწია. ხალხმა ეს ფაქტი მეფის ტახტიდან ჩამოგდების განზრახვად მიიჩნია. 6000 შეიარაღებული ერთგული მეომარი სოლომონთან გამოცხადდა.

1809 წლის 5 ივნისს იმერლები თავს დაესხნენ კაზაკებს, რომლებიც სურამში მიდიოდნენ და დაამარცხეს. ოკუპანტების წინააღმდეგ მღელვარება იზრდებოდა.

სოლომონ მეფე ყოველგვარ ზომებს იღებდა ქვეყნის გადასარჩენად. მან ისარგებლა მომენტით, რომ რუსის ჯარი ფოთის ციხის ასაღებად იყო წასული და ახალციხის საზღვრებთან ინახულა რუსეთის დაუძინებელი მტერი ალექსანდრე ბატონიშვილი. მეფემ ახალციხისა და არზრუმის ფაშასთან გაგზავნა დეპუტაცია ჯარით დახმარების შესახებ.

ტორმასოვმა 1810 წლის 20 თებერვალს ბრძანება გასცა იარაღის ძალით მეფის განდევნის შესახებ. ქუთაისის ეკლესიებში გამოცხადდა: „თქვენი კეთილდღეობისათვის იქმნება იმერეთის მმართველობა, რომელიც შედგება იმერეთის უწარჩინებულესი თავადაზნაურობისაგან რუსი სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით.“

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ზურაბ ლომსიანიძე

კადრები ქუთაისის უახლესი წარსულიდან

# „მე ჩემი თვალით ვნახე ფულით სავსე ტომარა“

... მინდა, გავიხსენო ავბედითი დღე საქართველოს ისტორიაში - 1991 წლის 22 დეკემბერი. ქუთაისში იმ ღამით გვიან გავიგეთ, რომ „ოპოზიციამ“ შეტევა დაიწყო მთავრობის სახლზე. ყველანი აღელდით, მეორე დღეს ქალაქის პრეფექტურასთან უამრავი ხალხი იყრიდა. გამოთქვამდნენ აღშფოთებას, ეროვნულ ხელისუფლებასთან თანადგომის სურვილს. ამ მიზნით, დილის საათებში ხალხით სავსე ორი ავტობუსი გაემართა თბილისისაკენ, წასასვლელად მზად იყო კიდევ ბევრი.

ვგრძნობდით, რომ საჭირო იყო, რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო ხალხის რაოდენობა, რათა ვერ გაებედათ შეტევა მთავრობის სახლზე, რაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითიდანაც ჩანს, იქ ხომ უიარაღო ხალხმა მთავრობის სახლის წინ ექვსი თვის მანძილზე დგომით შეინარჩუნა არჩეული ხელისუფლება.

შეკრებილნი მოითხოვდნენ თბილისში წასვლას, მაგრამ პრეფექტი არჩილ კოსტავა კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მიუხედავად ამისა, საღამოს 4 საათზე მაინც მოვახერხეთ წასვლა „იკარუსის“ მარკის ავტობუსებით. თბილისში ისე ჩავედით, არავითარი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, მაგრამ მთავრობის სახლთან ვეღარ მივაღწიეთ, რადგან გზები უკვე გადაკეტილი იყო.

ის ღამე რკინიგზის სადგურის შენობის თავზე გავატარე. თვალს ვადევნებდი საომარ მოქმედებას. მიმდინარეობდა მთავრობის სახლის მასირებული დაბომბვა. შენობის შიგნიდან ისროდნენ, ოღონდ სუსტად, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ უჭირდათ.



მეორე დღესვე გამოვბრუნდი ქუთაისში - დაახლოებით, 3 სთ. იქნებოდა, როცა ქალაქში ჩამოვედი. თეატრის წინ მიმდინარეობდა მიტინგი. უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი - სავსე იყო როგორც დიკით აღმაშენებლის მოედანი, ასევე ბაღიც. მთხოვეს გამოვსულიყავი სიტყვით და მიმეწოდებინა ინფორმაცია თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მე ავუხსენი საზოგადოებას მდგომარეობის სირთულე და აღვნიშნე, რომ საჭირო იყო მთელი დასავლეთ საქართველო გაერთიანებულიყო და ამდგარიყო მთავრობის სახლთან. ჩემს აზრს ყველა იზიარებდა, მაგრამ არ იყო პიროვნება, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებდა ყოველივე ამას.

25 დეკემბერს გავრცელდა ხმა, რომ ქუთაისში ჩამოვიდა აკაკი ასათიანი, რომელიც უხელმძღვანელებდა ხალხის თბილისში გადაყვანას. მის მოლოდინში 2-3 დღე გავიდა, მაგრამ ამაოდ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალაქში 22 დეკემბრამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა საწარმო - დაწესებულებაში შეწყდა მუშაობა, მაგრამ არცერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ გამოუხატავს თანადგომა, თითქმის უმოქმედოდ იყო პოლიციაც. ყოველივე ეს მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ თითოეული მათგანი თავისი პასიურობით ეხმარებოდა პუტჩისტებს.

პუტჩის დღეებში ჰელსინკის კავშირის წევრები ღამ-ღამობით შინ არ მივდიოდით და იქვე ვრჩებოდით პრეფექტურაში, მაშინდელი საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატის ოთახში. ერთხელ, საღამო ხანს, ჩვენთან მოვიდა მამაკაცი (სვანეთიდან იყო) და გვითხრა, რომ პრეფექტისათვის უთხოვია ვერტმფრენი, რათა პირდაპირ მთავრობის სახლში შეეტანა იარაღი. მისგან უარი მიუღია. გადავწყვიტეთ, ყველანი შევსულიყავით ა. კოსტავასთან და იძულებული გაგვეხადა მიეღო რადიკალური ზომები, მაგრამ იგი სადღაც გაქრა და ორი დღე არ გამოჩენილა. როცა დაბრუნდა, აღელვებულმა ხალხმა პასუხი მოსთხოვა, მან თავის მართლება სცადა. ბოლოს მაინც „გამოტყდა“: ქალაქში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელებს შევხვდი, ორი თვითმფრინავი იარაღით დავტვირთე და მთავრობას გავუგზავნეო“.

შემდეგ, ამის შესახებ ბევრ მაშინდელ მთავრობის წარმომადგენელს ვკითხე: არჩილ კოსტავას მიერ თვითმფრინავებით გამოგზავნილი იარაღი თუ მიიღეთ - მეთქი. ყველა მათგანი გაოცებული დარჩა, ამ იარაღის მნახველი არავინ აღმოჩნდა. გააგზავნა კი? ან ვის გაუგზავნა?



ახლა იმ ფულის შესახებ, რომელსაც მოსახლეობა თავდაცვის ფონდისათვის აგროვებდა: მოჰქონდათ პენსიები და ხელფასები, რათა რაღაც წვლილი შეეტანათ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში. მე ჩემი თვალით ვნახე ფულით სავსე პატარა ტომარა, თუმცა არ ვიცი რა თანხა შეგროვდა ან სად წავიდა. ის კი ვიცი, რომ იგი მაშინდელ ხელისუფლებას არ გამოუყენებია.

4 იანვარს პრეფექტურაში მოვიდნენ თბილისიდან დაბრუნებული ჩვენი ბიჭები. ამ დროს კოსტავა უკვე შეცვლილი იყო. პრეფექტის მოვალეობას ასრულებდა ბარამიაშვილი.

6 იანვრის შემდეგ, როცა საქართველოს პრეზიდენტმა დატოვა მთავრობის შენობა, „ოპოზიციური“ ძალები ქუთაისში უფრო გააქტიურდნენ. ჩვენ ისევ ვმართავდით მიტინგებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით, ისინი ყოველთვის დარბევით მთავრდებოდა. ჩვენს ცდას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ეროვნული სულის გამარჯვება ეწინააღმდეგებოდა იმ გეგმებს, რომლებიც დაესახათ ძლიერთა ამა სოფლისათა.

... შემდეგ ტარდება პუტჩისტთა პირველი „არჩევნები“. აპატიმრებენ კანონიერი მთავრობის მომხრეებს, რათა ხალხის სმენას არ მისწვდეს სიმართლის ხმა. არჩევნებში რა თქმა უნდა ისინი „იმარჯვებენ“...

მახსენდება ის დრო, როცა შევარდნაძის მთავრობა ხელს აწერს აფხაზეთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის ხელშეკრულებას. კანონიერი პრეზიდენტის ბრძანებით უნდა გაგვემართა გრანდიოზული აქცია, რადგან ცხადი იყო, რომ აფხაზეთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანას შედეგად აუცილებლად მოჰყვებოდა ომის წაგება - აფხაზეთის დაკარგვა.

ქუთაისში თავი მოიყარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელმა. მოვითხოვდით, არ შემდგარიყო ის ხელშეკრულება. მაგრამ სამწუხაროდ პოლიციისა და ომონის გამოყენებით აქცია ქვლავაც დაარბიეს, ხალხი განდევნეს. მაშინაც ქალაქის ხელმძღვანელი თემურ შაშიაშვილი იყო.

დღეს ხელისუფლების ზედა ეშელონებში ხშირად საუბრობენ ამ თემაზე და დამარცხების მთავარ მიზეზად აცხადებენ ეროვნულ გათიშულობას. არადა, ერიც რომ გაერთიანებულიყო, მოვიგებდით კი ომს? განა გაგონილა, შუა ბრძოლაში ხელისუფლებას საკუთარი ხალხისათვის იარაღი წაერთმიოს და კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან შიშველი ხელებით დაეტოვებინოს? განა ასეთ უთანასწორო მდგომარეობაში შესაძლებელია გამარჯვება?..

ლევან ურუშაძე

ეკონომიკა

# სიბნელე, ანუ ენერგეტიკული კრიზისი

ის რაც დღეს საქართველოში ხდება, მაჩვენებელია იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების გარანტი და ეკონომიკური ძლიერების აუცილებელი ატრიბუტი-ელექტროენერგეტიკა მოშლილია.

იძარცვებოდა და იძარცვება როგორც მოქმედი, ისე მშენებლობის პროცესში მყოფი ენერგოობიექტები: 1500 კმ. სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები ჩამოხსნილია და საზღვარგარეთაა გატანილი. საზღვარგარეთ გაყიდეს აგრეთვე 2000 ტონა ალუმინი და 300 ტონა სპილენძის სადენი. ენგურჰესიდან გაიტაცეს №3 აგრეგატისათვის სპეციალურად ჩამოტანილი 30 ტონა წონის სტატორის გრაგნილი. აფხაზეთის ომისათვის ენერგოსისტემას ჩამოართვეს ტრანსპორტი, გადასატანი ელექტრო სადგურები და მრავალი მექანიზმი. იძარცვებოდა და იძარცვება ლითონის საყრდენები კუთხოვანებისაგან. მოქმედი ხაზებიდან მთლიანად გაძარცვულია და ექსპლოატაციისათვის უვარგისია 220 კილოვოლტის ძაბვის ხაზები: „აჯამეთი“ - 26 კმ, „სენაკი“ 1-2“; 110 კილოვოლტის ძაბვის ხაზები: „ანაკლია“, „წალენჯიხა“, „აბაშა 1-2“, „ყვირილა 1-2“ „კოხრა“, წეროვანი“ და სხვ. სულ 60-მდე ხაზი. ზარალი 10 მლნ. დოლარს აღემატება. გაძარცვულია მშენებლობა, შეჩერებულია 500 კილოვოლტი ძაბვის ხაზი თბილისი- სამხრეთ საქართველო-ზესტაფონი. აქ აღდგენითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 მლნ. დოლარს.

ენერგეტიკული ობიექტების ძარცვისა და ნგრევის ასეთი ფართო მასშტაბები შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელიც განახორციელა შევარდნაძის მოძალადე რეჟიმმა დღიდან ხელისუფლების მიტაცებისა. ესაა გარდაუვალი პროცესი და ბუნებრივი ქცევა ნებისმიერი უკანონო ხელისუფლებისა. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ე.წ. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შავი და ფერადი ლითონების ჯართის სახით საზღვარგარეთ შეუზღუდავად გატანისა, რომლითაც წაახალისა სახელმწიფო ქონების მძარცველთა კრიმინალური ქმედება. არამარტო ხსენებული კანონი, არამედ დრაკონული საგადასახადო კოდექსი, სხვა „კანონმდებლობრივი“ აქტები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი აღსრულების დანაშაულებრივი მეთოდები უბიძგებენ როგორც მეწარმეებს, ასევე მოსახლეობას, კანონდარღვევისაკენ. სწრაფი ტემპით ვითარდება საყოველთაო ეროვნული კრიმინალიზაციის პროცესი: სახელმწიფო შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზება ხარკის აკრეფას ემსგავსება.

იმის ნაცვლად, რომ აღეკვეთა და დაესაჯა უწესრიგობა ენერგომეურნეობის სისტემაში ე.წ. სახელმწიფო მეთაურმა, თავისი ბრძანებით, გამანაწილებელი ობიექტები გამგებლობაში გადასცა მუნიციპალიტეტებს (რომელთა ხელმძღვანელები ისედაც თავისი ნება-სურვილით მართავდნენ ენერგოობიექტებს). ამით გამგებლებმა იურიდიული ძალაც იგდეს ხელთ და თავისი შეხედულების მიხედვით იწყეს განკარგვა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურისა. ასე დაიწყო „რეფორმები“ ენერგეტიკაში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების „დახმარება“ რეფორმების ჩასატარებლად, მათივე „რეკომენდაციით“. მმართველმა რეჟიმმა აღიქვა როგორც ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის ჩატარების აუცილებლობა. არადა, არცერთ განვითარებულ ქვეყანაში ენერგოსისტემა უცხოური ფირმების საკუთრებას არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, მათ უმრავლესობაში ენერგეტიკა მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაა (მაგალითად: საფრანგეთი) და ეს საკუთრება წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ე.წ. პრივატიზაციით მოძალადე რეჟიმი ესწრაფვის ორმაგი სარგებლის მიღწევას: 1) ობიექტების ჩალის ფასად განკერძოებით მათი მტაცებლური მადის დაკმაყოფილებას და 2) მსხვილი ენერგოობიექტების უცხოელებზე მიყიდვით დარგში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

საქართველოში არსებული 54 ჰიდროელექტროსადგურიდან ჩალის ფასად გაიყიდა 50. მოძალადე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთმანეთში დაინაწილეს და მიითვისეს სისტემაში არსებული მცირე ჰესები. (მაგალითად, რიონჰესი ვ. რჩეულიშვილის სიმამრმა 26 დოლარად დაისაკუთრა). დარჩენილი 4 ჰიდროელექტროსადგური (ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ხრამჰესი და ლაჯანურჰესი) საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 25 წლით იქნება გაყიდული ანუ მმართველობაში გადაცემული უცხო ფირმებზე.

**საქმე გვაქვს ტოტალურ კორუფციასთან, რომელიც ორგანიზებულია შევარდნაძის რეჟიმის მიერ და საფიქრებელია, რომ მისი ფარგლები სცილდება საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო ხასიათსაც კი იძენს**

ქვეყანაში ენერგომაფიის პარპაშს ანალოგი არ გააჩნია, მასში ჩართულია არამარტო შევარდნაძის სანათესაო, არამედ ფაქტობრივი პარლამენტის ყოფილი თუ მოქმედი წევრები. არის ყველა ნიშნები იმისა, რომ სპეციალურად ქმნიან ელექტრო ენერგიის დეფიციტს, რათა „მომგებიანად“ გაიყიდოს ენერგოობიექტები და სხვა სახის ენერგომატარებლები. ამ მიზნით იყენებენ ყოველგვარ ბინძურ ხერხებს. მმართველი პლუტოკრატები ელემენტარულ პასუხისმგებლობასაც კი არ გრძნობენ თავის მიერ მიღებული „საქართველოს კონსტიტუციის“ მიმართ, რომლითაც აკრძალულია სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების (ე.ი. ენერგეტიკის ობიექტების) გაყიდვა-გასხვისება.

ენერგოსისტემის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი უცხოური კრედიტები სათავეს 1994 წლიდან იღებს, როცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოყო 18,1 მლნ. დოლარი, რომლითაც თითქოს ჩატარდა კიდევაც სამუშაოები თბილჰესის ლეგენდარულ მე-9 და მე-10 ბლოკებზე. გარდა ამისა, რიონჰესზეც სამუშაოებს უცხოური კომპანიები ასრულებდნენ (Siemens, Skola. Ecolochem. Kab. LM3. Cegelec-ი და სხვები). 30 მლნ. მარკა გამოიყო 1995 წელს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისაგან (ლბქ). 1996 წელს გამოიყო 40 მლნ. მარკა, 1998 წელს 14,5 მლნ. მარკა, 1998 წელს 63,5 მლნ. მარკა და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ გამოყოფილი სესხებით სამუშაოებს იშვიათი გამონაკლისის გარდა უცხოური ფირმები ასრულებდნენ. უცხოეთიდან შემოსული ფინანსების საქართველოს ენერგეტიკაში „განთავსებამ“ არათუ გააუმჯობესა ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგება, არამედ, პირიქით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და დამძიმდა. აქედან დასკვნა: საქმე გვაქვს ტოტალურ კორუფციასთან, რომელიც ორგანიზებულია შევარდნაძის რეჟიმის მიერ და საფიქრებელია, რომ მისი ფარგლები სცილდება საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო ხასიათსაც კი იძენს. საქართველოს ისედაც კაბალურ ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს ის ფაქტი, რომ უცხოელი პარტნიორები და სამუშაოს შემსრულებელი ფირმები თავიანთ საქმეს აფასებენ რამოდენიმეჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ამის გაკეთება იყო შესაძლებელი ადგილობრივი ძალებით. ამიტომ, ვითომდაც იაფი კრედიტი, გაცემული 30 წლით, თითქოს დაბალი საპროცენტო განაკვეთით, (0,75%), სინამდვილეში, გაცილებით ძვირია და შეადგენს არა 0,75X30 წელი!22,5%, არამედ 400%-ზე მეტს, იმის გამო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების საწყისი (რეალური) ღირებულება მკვეთრად და ხელოვნურადაა გაზრდილი. ეს მაშინ, როცა ქვეყნიდან გარბიან გამოცდილი მაღალკვალიფიციური კადრები. ფაქტია, რომ საქართველოში განხორციელებული პროექტების ფინანსირების უდიდესი ნაწილი უცხოელი ექსპერტების ხელფასებს „ხმარდება“, სინამდვილეში საქმე გვაქვს ჭუჭყიან გარიგებასთან.

საგანგაშო და შემაშფოთებელი პერსპექტივა გველოდება. საქართველოს ენერგეტიკა სულ მოკლე ხანში მთლიანად უცხოელების ხელში აღმოჩნდება და ქვეყანა დაკარგავს თავისი ეკონომიკის მართვის რეალურ ბერკეტს, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ენერგეტიკის გასხვისების ტენდენცია მით უფრო შემაძრწუნებელია, რომ დარგის ძირითადი ობიექტები ხელთ იგდო საქართველოსადმი აგრესიულად განწყობილმა რუსეთის მსხვილმა კორპორაციებმა. ამგვარად, რუსეთი პრაქტიკულად პოლიტიკურ ბერკეტებსაც ეუფლება. შეიძლება ითქვას, ფაქტიურად, უფასოდ გადაეცა რუსეთს 500 და 220 კილოვოლტიანი სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე გაზმომარაგებაზე მომუშავე საწარმოები.

ელექტროენერგეტიკის დარგი იმდენად დაკნინდა, რომ წინა წლებში პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს დედაქალაქის განათებასაც ვეღარ ახერხებს რიგიანად. რა თქმა უნდა, თბილისი არ უნდა ჩაქრეს, მაგრამ არა კახეთის, მესხეთის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლისა და სხვა რაიონების ხარჯზე. მოძალადე ხელისუფლების უსამართლო ბუნება სოციალური ჩაგვრის თუნდაც ასეთი ფორმითაც გამოიხატება.

ჰიდროსადგურებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა (მეორე ადგილზე ვართ მსოფლიოში), რომ არა სახალხო ქონებისადმი ასეთი მტაცებლური დამოკიდებულება, ელექტრო ენერგიით მომარაგება დიდი ხნის წინათ უნდა გადაწყვეტილიყო.

1991 წელს ქვეყნის ენერგოწარმომქმნელ ობიექტებს შეეძლო 14 მლრდ. კვტ. სთ. ელექტროენერგიის გამომუშავება. უფრო ადრეულ წლებში საქართველოში მოიხმარებოდა 17 მლრდ. კვტ. სთ. 3 მლრდ-ის შემოდინება ხდებოდა სხვა რესპუბლიკებიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფუნქციონირება შეწყვიტა (ან შეამცირა) ისეთმა ენერგოტევადმა მომხმარებლებმა, როგორიცაა: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და სხვები, მოთხოვნილება ელექტრო ენერგიაზე 12 მლრდ. კვტ. სთ.-ს არ აღემატება. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ენერგოსისტემას შეუძლია მხოლოდ 6 მლრდ. კვტ. სთ-ის გამომუშავება. დასკვნების გაკეთება მკითხველს მივანდოთ.

ენერგოსისტემის დავალიანება 300 მლნ. დოლარს აღწევს, თანაც, ხსენებული დავალიანების დაფარვის არავითარი პერსპექტივა არ ისახება. რა თქმა უნდა, „ხელისუფლება“ გამოსავალს საშინაო და საგარეო ვალებში ჩაფლული დარგის ვალებიანად გასხვისებაში ხედავს, მაგრამ რა დაემართება საქართველოს მოსახლეობას და მეწარმეებს, როცა ენერგოსისტემის ახალი მფლობელები გადასახადს გაზრდიან, როგორც ეს AES თელასის შემთხვევაში მოხდა. ეს ის უცხოური AES-ია, რომელმაც 25 მლნ. დოლარად იყიდა 300 მლ. დოლარად შეფასებული „თელასი“.

ეჭვგარეშეა, არსებული ენერგოწარმომქმნელი სიმძლავრეების სრულ რეაბილიტაციას 1 მლრდ. დოლარი დასჭირდება, ანუ სამჯერ მეტი დღევანდელი ბიუჯეტის შემოსავლებზე. ეს რეალობაა და ამას ვერავინ გაექცევა, ისიც ნათელია, რომ დღევანდელ საქართველოში არცერთი უცხოელი არ გარისკავს ამ რაოდენობის სახსრების ჩადებას. ღიმილის მომგვრელია იმის გაფიქრებაც კი, რომ საქართველოს ბიუჯეტი გაითვალისწინებს შესაბამის ხარჯებს. არასერიოზულია ისეთი მიდგომა, თითქოს დარგთან მიმართებაში (და არამარტო) დადებული წამგებიანი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეცვლა ან გაუქმება შეიძლებოდეს.

ელემენტარული გათვლებით ვლინდება, რომ თუ ქვეყანას ეყოლება გადახდისუნარიანი მომხმარებელი, შესაძლებელი გახდება დარგის ნორმალურ მართვა-განვითარებაზე ზრუნვაც. ეშმაკის წრე შეკრულია: მომხმარებლებს არ შეუძლიათ გადაიხადონ საფასური, იმის გამო, რომ ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ისინი სხვადასხვა ხერხებით გაძარცვა, გაალატაკა. დარგს კი არ შეუძლია არსებობა შემოსავლების გარეშე. მოშლილ, ვალებში მოცურავე სახელმწიფოში შეუძლებელია ერთი რომელიმე დარგის ფუნქციონირების გამართვა. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. საქართველოს ეკონომიკაში გარდაუვალია სოლიდური ინვესტიციების ჩადება, ამ ინვესტიციების ეფექტურად გამოყენება და წამგებიანი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაუქმება. მადლობა ღმერთს, არსებობს საქართველოს უზენაესი საბჭოს 1992 წლის 12-13 მარტის გროზნოს სესიის დადგენილება, რომლის თანახმადაც დღევანდელი უკანონო ხელისუფლების ყველა ნამოქმედარი იურიდიული ძალის არმქონეა. ეს დადგენილება და მთლიანად კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა იძლევა საფუძველს არამარტო კაბალური საერთაშორისო ხელშეკრულებების დენონსაციისა, არამედ საქართველოდან გატაცებული 8 მლრდ. დოლარის უკან დაბრუნებისა და იმ კვებერთელა ქონების საქართველოსათვის გადმოცემისა, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს კუთვნილ წილს წარმოადგენს. არსებობს ხსენებული წილის მიღებისა და საზღვარგარეთ გატაცებული ქონების უკან დაბრუნების მექანიზმები.

ავთანდილ კვიტენაძე
საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს წევრი

არსენალი

# ხიშტდანას სხვადასხვა დანიშნულებისათვის ხმარობენ

ევროპის ბევრ ქვეყანაში მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ბავშვებისათვის სათამაშო საბრძოლო იარაღი გააუქმონ, რათა ბავშვი უფრო კეთილშობილი და ლმობიერი გაიზარდოს. ასეთი მსჯელობა საქართველოში ყოვლად გაუმართლებელი მეტიც, საზიანოა, რამეთუ ჩვენში ოდითგანვე მოზარდებს ასწავლიდნენ ცხენზე ჯირითს, შუბითა და ხმლით ბრძოლასა და ყველა იმ სამხედრო ტაქტიკას, რომელიც მეომრის ჩამოყალიბებისათვის იყო აუცილებელი. ამან გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

სამხედრო განათლების საქმეში დღეს საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. ქართველებს არმიაში ასწავლიან რუსულ სამხედრო ხელოვნებას, რომელიც დიდ ტრამალებში გამოიყენება. გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიაში და საქართველოს მთიან რეგიონებში ეს არ გამოგვადგება, რადგანაც ჯარის ფართო გაშლა ჩვენთან შეუძლებელია და უშედეგო.

აუცილებელია, ჯარისკაცისა და ოფიცრის სამხედრო შემართების აღდგენა, მკაცრი რკინისებური დისციპლინა, დაუწერელი კანონის „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ ამოქმედება და რწმენა ისეთი, როგორიც საბოლოო გამარჯვებასთან მიგვიყვანს.

ჩვენი რუბრიკის მიზანია, შეძლებისდაგვარად მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია დღევანდელი სამხედრო არსენალის შესახებ. მინდა, მკითხველის ყურადღება შევაჩერო მსოფლიოში ცნობილ „კალაშნიკოვის ავტომატის“ ერთ-ერთ სახეობაზე, კერძოდ, კალ-74-ზე.



ავტომატი ძირითადად გამოიყენება მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. როგორც სახელი გვეუბნება, ის 1974 წელს დაიბადა. იგი სხვა საბჭოთა ავტომატებზე მეტად სწრაფია, მისი ტყვიის ნომერია 5-45. საბრძოლოდ მოსახერხებელია, წონით შეადგენს 3,5 კგ-ს. მას ეგება ხიშტდანა 490 გრ. წონის ხიშტდანას სხვადასხვა დანიშნულება აქვს, უპირველეს ყოვლისა, მოსახერხებელია ხელჩართული ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის მოსაკლავად ან ბრძოლის უუნარიანობის დასაკარგად. „ხიშტდანა“ შეგვიძლია ვიხმაროთ მიწის ამოსათხრელად, ჩაქუჩად, მაკრატლად. მას შეუძლია გადაჭრას 4-5 მმ. ფოლადის მავთული. ავტომატს სხვა წვრილმანი ნაწილების გარდა გააჩნია ზუფი, ელასტიური ზამბარა, დამრტყმელი მექანიზმი, ხუფი, გაზის მილაკი, ზუმბა, კომპენსატორი, მის მჭიდში ჩადის 30 ტყვია.

ავტომატის სროლისათვის დამიზნების მანძილი 1000 მეტრია. მისი საშუალებით შეიძლება გაანადგურო 500 მეტრ სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავი, ვერტმფრენი, პარაშუტისტი.

ავტომატის ზუსტი მიზანი მტრის სამკერდე ფიგურებზე 440 მეტრია, მორბენალ ფიგურებზე 650 მეტრი. სროლის ტემპი 600 გასროლაა წუთში. მიზანშეწონილია პოზიციური ბრძოლის დროს 100 მდე გასროლა ჯერებით, ერთეული გასროლა 40-მდე.

ავტომატის კალ-74-ს სხვა უცხოურ იარაღებთან შედარებით დარტყმის ძალა მეტი აქვს და რაც ყველაზე მთავარია, ბრძოლის დროს თითქმის ულალატოა. ეს გამოწვეულია ფოლადის სიმტკიცით, რომლითაც სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებულნი, თუმც უშედეგოა მათი ცნობისმოყვარეობა.

ავტომატი ხმარების შემდეგ, უნდა დაიშალოს და გაიწმინდოს სპეციალური ჯაგრისით და ზეთით. უსაფრთხოების მიზნით შენახვამდე უნდა გავაკეთოთ საკონტროლო გასროლა, რათა ტყვია არ ჩარჩეს მასში. ხსენებული იარაღი სპეციალურ კარადაში უნდა ჩაიკეტოს.

მომდევნო ნომერში ჩვენ ვისაუბრებთ მაუზერის სისტემის იარაღზე.

ვიმედოვნებთ, ჩვენი წერილები მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება.

გიორგი ლომსიასიძე

მეცნიერება

# თარაშ ემხვარის მითოლოგიური არქეტიპები

ცხოვრება მითია... საუკუნეებში ჩამარხული მითი...

მითით დაიწყო ყველაფერი... მითით დაირწა მსოფლიო კულტურის პირველი აკვანი... მითოსი - ეს იყო ადამიანის გონებრივი მოქმედების აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება... მითი წარმოადგენდა ბირთვს პირველსაწყისს ადამიანის სულისას, რომლიდანაც გამოდიოდა და რომლისკენაც მიისწრაფვოდა კაცობრიობა.

თანამედროვეობა მუდამ უძველეს წარმოდგენათა შუქზე იკითხება, რომელშიც ძევს დღევანდელი ყოფიერების არქეტიპი.

მითით არის ნასაზრდოები კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაც". მწერალი თავისი გმირების შესაქმნელად იყენებს არქეტიპთა ორ სხვადასხვა კატეგორიას: პირველი აღებულია მითოსიდან და გადამუშავებულია ლიტერატურულად შემოქმედის მიერ, ხოლო მეორეს მწერალი ქმნის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და აქცევს მითოსის წევრად, ე.ი. ხდება მითოსიდან გამოტანა და მითოსში დაბრუნება სახეებისა. არქეტიპი, საერთოდ, არაცნობიერი ფსიქიკის პირველადი მოდელია, რომლის გენები შთამომავლობაში უსასრულოდ და განუწყვეტლივ მეორდება. ეს მუდმივი ფერისცვლა, სიკვდილი და კვლავ აღორძინება, უცვლელობა მითოსური აზროვნების პრინციპია.

კ. გამსახურდიამ ნაწარმოების მთავარ გმირს თარაშ ემხვარს მრავალი არქეტიპი მოუძებნა. თარაშის სახე მუდამ მითოლოგიის შუქზე იკითხება, როგორც განსხვავებულ თვისებათა და მდგომარეობათა გამონათება. ითხზვება მრავალი ჰიპოსტასი. სიმბოლურად ლანდების სამყაროდან გადმოსული გმირი თავის თავში იტევს მრავალ მითოლოგიურ პერსონაჟს, მითოლოგიურ არქეტიპს. იგი არის: ერამხუტი-ამირანი, მთვარე - წმ. გიორგი, მონადირე ბეთქილი, ბატონები, ეროსი, ჯოგის თვალი, ბიბლიური აბელი, აპოკალიფსის მხედარი, სახარების „მე შეცთომილი".

თარაშის მრავალსახეობრიობა ცხრა სხვადასხვა პლანში იშლება და თითოეული ეს ჰიპოსტასი ღვთაებრივი საწყისის განსახიერებაა. გვეძლევა მითოსი ბირთვის სახით და ამ ბირთვიდან ამოტყორცნილი რამდენიმე მითოსური არქეტიპის შერწყმით ვღებულობთ ახალ სახეს, მრავალი თვისების მატარებელს, რადგან თარაში სიმბოლურად საუკუნეებს იტევს პირველი ადამიანიდან დღევანდელობამდე. იგი „დევის ქვაბში" ყოფნის დროს აღნიშნავს: „წასულა ჩემგან ჩემი ადამიანური წარსულის შეგნება. წაურთმევიათ ჩემთვის ამიერიდან ჩემი ვინაობისა და სადაურობის შეცნობის ნიჭი"... და „მე ჭაღარა შემრთვია უკვე, სამი ათასი წლის ჭაღარა მიმშვენებს შუბლსა".

შეიძლება თარაშის პიროვნების ასაქმელად გაკეთდეს სქემა, რომელიც ასეთ სახეს მიიღებს:



სქემა I

შობას, როცა ჩოხა პირველად ჩაიცვა და ჩალის ნალერალზე გადამჯდარს ერამხუტად მოჰქონდა თავი...

თარაშს სწამდა, რომ ადამიანის სული ელასტიურია, რომ ადვილად შესაძლოა წლების მანძილზე იგი სხეულითაც იმას დაემსგავსოს, ვინც მას უყვარს. ისიც სჯეროდა თარაშ ემხვარს, ჩვენი სხეული მხოლოდ და მხოლოდ სულის ჩვენის განცხადება იყოს თითქოს და სხვა არაფერი".

თარაშს უფრო შორეული წინაპარიც ჰყავს, კარნუ ქალაქის ამღები გმირი ვარდან ჰემუხვარი, ემხვარების გვარის არქეტიპი, რომლის გენები საუკუნეთა მანძილზე თითქმის არ შეცვლილა და შთამომავალნი ისევე ურჩნი, თავნება და უცნაურნი იყვნენ, როგორც კათალიკოსის მიერ „ადამურვე" ფსალმუნით დაწყევლილი წინაპარი. 800 წლის შემდეგ ტარიელ შარვაშიძემაც დასწყევლა თარაში. ვარდანით იწყება და თარაშით იხურება ემხვარების გვაროვნული მატიანე, რომლის დასაბამი და დასასრული წყევლითაა დაღდასმული.

ერამხუტი მეგრულად „ერამ ხუტუდ" (მ. ჩიქოვანი - „მიჯაჭვული ამირანი" თბილისი, 1974წ. გვ.385) გამოითქმის. ერამხუტი ხალხური სახელის ლიტერატურული ფორმაა. როგორც ვიცით, მითურ ამირანს მეგრულ ვერსიებში არამხუტი ჰქვია.

ამრიგად, თარაშის სახის ასოციაციურ ძიებას ამირანის მითამდე მივყავართ, სვანეთში მყოფ თარაშს „ამირანის ძალი აწვება მკლავში". ვაჟკაცობის სიმბოლოა ამირანი. თარაშის აუხდენელი ოცნება ამირანის მწარე ხვედრთანაა გაიგივებული. როცა ავტორმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა თავის გმირს, შენიშნა: „გუშინ, გუშინწინ ჭაბუკი ამირანი ეგონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი". „ჩვენს ამირანს გვირაბისათვის ვერ მიუგნია, სადაც მან ძალა შეინახა დღევანდელი დღისათვის".

ამირანი ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის, ჭირთა თმენისა და ბრძოლის ხატია. ერამხუტი ანუ ამირანი, რომელსაც ეტრფის თარაში, არის ისტორიული საქართველო, ე.ი. მათი სახით თარაში ეტრფის წარსულს, ძველ თაობას, რომელიც იმსხვერპლა ახალმა იდეოლოგიამ, ისე, როგორც ამირანი დამარცხდა ღმერთთან ჭიდილში.

თარაშის პირველი სახე - ამირანი ამოღებულია ქართული მითოლოგიიდან, მაგრამ მას პარალელები დაეძებნა სხვა ქვეყნების მითოლოგიაშიც, მაგალითად, ბერძნული პრომეთე, რომელიც არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე. თარაში კი იმით უკავშირდება პრომეთეს, რომ იგი ეძიებდა თავის საწყისს, ე.ი. თავის პირველ „მე"-ს, ვინაიდან „მე"-საგან მოდის ყოველგვარი კულტურა. ხოლო პრომეთეს მიერ კაცობრიობისათვის ცეცხლის მოტანა ეს იყო ადამიანში „მე" ცნობიერის დაბადება (ზ. გამსახურდია - „წერილები, ესეები" გვ. 200).

ეს არის სქემა თარაშის პირველი მითოლოგიური სახის განშტოებისა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: ჰორიზონტალურად განლაგებულია მითოსიდან ამოზრდილი არქეტიპთა სახელები, რომლებიც ერთმანეთიდან კი არ გამოდიან, არამედ მათ შორის შეიძლება დაინახოს პარალელურობის ნიშანი; ხოლო ვერტიკალურად თვით მწერლის მიერ მითად ქცეული პერსონაჟთა სახელებია ნაჩვენები, რომლებიც ერთმანეთიდან გამომდინარეობენ. იგივეობრიობის გამო, თარაში, ერამხუტი, ამირანი კრავენ სამკუთხედს.

თარაშის ცხოვრებაში აისახა ბეთქილის ლეგენდა, რომელსაც თავად ავტორი უყვება მას. მონადირე ბეთქილ შეუყვარებია დალს - ნადირობის ღმერთქალს, ხოლო მონადირეს - თავისი რძალი თამარი, რომელიც ლამარიობის წინა ღამით შეაცდინა. მაშინ დალმა შურის ძიებისათვის





სქემა II.

გერად ბეთქილს თეთრი კვიცრა ჯიხვი მოუვლინა (კვიცრა შეიძლება იყოს დედალიც და მამალიც). ჯიხვმა ფერხულის დროს ბეთქილს ლაჯებს შორის გაურბინა (ლეგენდაში მონაცვლეობს თეთრი არჩვი, ირემი, შუნი, ჯიხვი). მონადირე გაეკიდა თავის შემარცხვენელს, მაგრამ თვალუწვდენელ ფლატეზე გაიტყუა ჯიხვმა ბეთქილ და იქიდან გადმოაგდო. სამჯერ შეწყდა ამ ლეგენდის თხრობა და სამჯერვე თარაშის დაჟინებული თხოვნით გაგრძელდა. ჩვენი თხზულების მთავარი გმირი ღრმა ინტერესს იჩენს მითიურ დალთან დაკავშირებული მონადირის ბედისადმი. თითქოს ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ მთელი თავისი ცხოვრებით გაიმეორებს მითოლოგიური არქეტიპის ბედს.

თარაშიც მსგავსად ბეთქილისა, ქალის სიყვარულს ეწირება. დალისაგან, ჩვენს შემთხვევაში თამარისაგან, მას უკვე მიღებული აქვს პირობა, ამიტომ სამუდამოდ მიჯაჭვულია თამარზე, რომელიც თეთრი შვლის სახით წარმოუდგება თარაშს. კაროლინასთან საუბარში ემხვარი განმარტავს, რომ თეთრი შველი ბუნების უნიკუმია. სინამდვილეში კი თეთრი შველი არ არსებობს. როგორც ბეთქილ ჯიხვზე ანუ დალზე გამოდევნებული, უფსკრულში გადაიჩეხება, ისე თარაში თამარისაკენ ლტოლვამ მარტოობის უფსკრულში გადაჩეხა. მონადირე ბეთქილის ყარაჩაულ-ბალყარულ ვარიანტია ბიინოგერი (ეთერ თათარაძე), რომელსაც გადაჩეხავს სამფეხა კოჭლი ირემი.

თარაშ ემხვარის სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი. ის ეტრფის წმ. გიორგის - ძველქართულ მთვარის ღვთაებას. სწორედ წმ. გიორგის გამითიურებული სახე წარმოადგენს თარაშის მრავალფეროვნების ერთ-ერთი გამოვლინებას. მას ბავშვობიდანვე ბოროტების შემმუსვრელ მითიურ გმირად მიაჩნდა თავი:

„თარაში და არზაყანი მთელი დღე ფეხშიშველა დატოპავენ თხრილებსა და ჭაობებში, კიბორჩხალების დარანებს მიაგნებენ, ლორჯოებს იჭერენ, ლოდების ქვეშ, გველებსა და ხვლიკებს ქვით უსრესენ თავს და ესენი გველები როდია, არამედ უშველებელი ურჩხულები, ხოლო ერთსაც და მეორესაც ურჩხულების მმუსვრელ წმ. გიორგიდ მოაქვთ თავი".

წმ. გიორგი ანუ მთვარე, რომ თარაშის სახეს ქმნის, უპირველეს ყოვლისა, ჩანს თხზულების სათაურიდან, „მთვარის მოტაცება". ენგური, რომელმაც მოიტაცა მთვარე, არის „აქერონტი", ე.ი. სასაზღვრო მდინარე უხილავსა და ხილულს შორის" (ს. სიგუა - „მარტვილი და ალამდარი" I თბ., 1991 წ. გვ. 243). ეს არის ხელახალი აღორძინების, განახლების აკვანი და მთვარე ჩადის მასში, რათა სახეცვლილი ამოვიდეს. ტრადიციული გაგებით ენგური არის რევოლუცია, რომელმაც შთანთქა ძველი სამყარო. რომანი ენგურის გადალახვით იწყება. არზაყან ზვამბაიამ მამასთან ერთად სძლია მოდიდებული ენგური აპრილის თვეში. ზუსტად ერთი წლის შემდეგ (კვლავ აპრილში) ახლა თარაში ცდილობს აბობქრებული მდინარის გადალახვას, მაგრამ ენგური (ანუ რევოლუცია) მას ვერ შეიწყნარებდა. იგი ემხვარების კი არა, ზვამბაიების კლასის კუთვნილება იყო.

მთავარი გმირის წმ. გიორგისთან ანუ მთვარესთან ქარაგმულად გატოლების სურათი გაცხადებულია თარაშის სიზმარშიც: ცხენზე ამხედრებული ემხვარი ხედავს, თუ როგორ „მოიკლაკნება უშველებელი მრეში ურჩხული საომარ ლიონსავით ყელმოღერებული, მოდის, მოიხლაზნება ამპარტავნად თავაწეული და ცეცხლის მგზნებარებას აფრქვევს პირიდან" (იქვე). ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული - ეს ხომ წმ. გიორგის მითიდან აღებული სახეა, ის გველეშაპია, რომელთანაც სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა გაუმართავს ცხენზე ამხედრებულ ფარშევან რაინდს, თარაშს. ის სამყაროც, რომლის მფარველობაც ემხვარმა უნდა იტვირთოს, წმ. გიორგის სამყაროა.

მთვარე მამრობითი სქესისაა და უკავშირდება თარაშს. ენგურმა მოიტაცა მთვარე - თარაში, ამიტომ იგი წარმოადგენს არა თამარს, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი მიუთითებს, არამედ თარაშის მითოლოგიურ სახეთა ერთ-ერთ ჰიპოსტასს.

(ნაწარმოები იბეჭდება შემოკლებით)

ნინო კუბლაშვილი

სპორტი

ფეხბურთი:

ხმები იმის შესახებ, რომ ივან სამორანო აპირებდა მილანის „ინტერისა" და, საერთოდ, იტალიის სერია A-ს დატოვებას, დაადასტურა თავად ფეხბურთელმა. სამხრეთ ამერიკელი



ლეგენდარული ჩილელი საბოლოოდ დაემშვიდობა იტალიურ კლუბს და მის გულშემატკივრებს. მან წარმატება უსურვა „ინტერს" და მადლობა გადაუხადა მის პრეზიდენტს მასიმო მორატის. შეგახსენებთ, რომ სამორანომ „ინტერის" მაისური 100-ზე მეტჯერ მოირგო და 26 გოლიც გაიტანა. 34 წლის ფორვარდი მექსიკაში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

დამშვიდობებისას ივან სამორანომ იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა: „მე ამ ხუთიში ძალზე ცოტა მატჩი ვითამაშე და ვალდებულიც ვიყავი წამოსულიყავი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მეხლობოდა მთელი ამ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით, კლუბის პრეზიდენტს მასიმო მორატის და „ინტერს" ვუსურვებ წარმატებებს".

□□□

ესპანეთის „სელტას" ნახევარმცველი ვალერი კარპინი დასახელდა რუსეთის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელად და მასვე გადაეცა სპეციალური პრემია - „გლადიატორი", რომელიც დაწესებულია იგორ ნეტოს ფონდისა და გამომცემლობა „სპორტექსპრესის" მიერ. გარდა კარპინისა, ამ პრემიის პრეტენდენტები იყვნენ აგრეთვე დიმიტრი ხლესტოვი, იგორ ტიტოვი, ვლადიმერ ბესჩასტნიხი, რუსლან ნიგმატულინი და მაქსიმე ბუზნიკი.



ჭადრაკი:

„ფიდე"-ს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე დელიში გადაწყდა, რომ ყველა ოფიციალურ საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც „ფიდე"-ს ეგიდით გაიმართება, პირველი იანვრიდან დაწესდეს დროის ახალი კონტროლი, კერძოდ, 1 საათი და 30 წუთი 40 სვლაზე და 20 წუთი (პლიუს 30 წმ თითოეულ სვლაზე) პარტიის დასრულებამდე.

განსაზღვრულია, აგრეთვე, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების ახალი სისტემა, ხოლო მამაკაცთა შორის ამდაგვარი სისტემის დადგენის საკითხი გადაწყდება სიერაში ანანდ-შიროვის მატჩის შემდეგომ.

რაგბი:

რუსეთის რაგბისტთა საბჭოს პრეს-სამსახურმა განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრები მსოფლიო თასისათვის საბოლოო საშზადისს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაივლის. შეკრება, სავარაუდოდ, დაიწყება 8 იანვრიდან. აქედან გუნდი გაემგზავრება არგენტინაში.

კალათბურთი:

„ნბა"-ს კლუბის „იუტა ჯაზ"-ის მთავარი



მწვრთნელი ჯერი სლოუნი მსაჯებთან კამათისათვის დარბაზიდან გააძევეს. იგი დაჯარიმდა 7,5 ათასი დოლარით. ინციდენტი მოხდა „ფილადელფია 76"-თან შეხვედრის პირველ მეოთხედში. „იუტამ" მწვრთნელის გაძევების მიუხედავად, მაინც გაიმარჯვა ანგარიშით 91:89.

ამასთან, „ნბა"-ს ვიცე-პრეზიდენტმა სტიუ ჯექსონმა განაცხადა, რომ აგრეთვე დაჯარიმებულია კლუბ „მაიამი ჰიტ"-ის მცველი ტიმ ჰარდუეი. მას მოუწევს 5 ათასი დოლარის გადახდა არასპორტული საქციელის გამო.

მოამზადა რამაზ ქურთაძემ

# დონე



1) რომელი რუსი პოეტების ნაწარმოებები აქვს თარგმნილი ილიას?

2) ილია დიდად აფასებს ერთ ქართველ პოეტს და „მგზავრის წერილებში“ არაერთხელ მოჰყავს მისი სიტყვები. მაგ:

„სხვა საქართველოო ვად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა.“
ვინ იყო ეს პოეტი?

3) ვინ იყვნენ „პირველი დასელები“?

4) სად წერდა ილია: „დროა ხელოვნება ჩავიდეს ცხოვრების მორევში, იქ მონახოს შიგ მდებარე არხი თავის ცხოველ სურათებისათვის“ და რომელ თეორიას უარყოფდა ამით?

5) რომელ ლექსში წერდა ილია:
„ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩქრად არ გაგვხდომია,
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა,
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია“?

6. რისი განთავისუფლებისაკენ მოგვიწოდებს ილია პოემა „აჩრდილში“?

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კითხვების პასუხები

1. „ქართველი სტუდენტების სიმღერა (1860)

2. ილიას უმცროსი ძმა თეიმურაზი სწავლობდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში და 1860 წელს იქვე გარდაიცვალა. დამწუხრებულმა პოეტმა მას უძღვნა ლექსი „ძმის სიკვდილზედ“ (1860 წ., პეტერბურგი).

3. ილია იყო იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსზე, როდესაც 1861 წელს უნივერსიტეტში მოხდა სტუდენტთა არეულობა, რის გამოც, ბევრი სტუდენტი და პროფესორი გარიცხეს, მათ შორის მოხვდა ილიაც, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის გამო, იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა. მან მიიღო მოწმობა ოთხი კურსის მოსმენის შესახებ.

4. ილიას ნათესავი და მეგობარი კოხტა აბხაზი

5. კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ოჯახში

6. თავისუფლებისათვის მებრძოლ იტალიელ ხალხს და მათ მეთაურს - ჯუზეპე გარიბალდის (1860 წ., პავლოვსკი).

7. კომპოზიტორ იონა ტუსკიას.

# კვიმატი

## „მგონი დავიძინოთ“...

ცეკვის ჯადოქარს, დავით უშვერიძეს, შეეძლო დაუსრულებლად ესაუბრა თავის წარსულზე, განსაკუთრებით ცეკვის შესახებ. ანსამბლის უნგრეთში მოგზაურობისას, ბატონ დავითთან ოთახში ცხოვრობდნენ რენცო ბახტაძე და სულიკო ხაჭაპურიძე. ამ ორ მოცეკვავეს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული დასვენება. ბატონი დავითი თვალის მოხუჭვის საშუალებასაც არ იძლეოდა, თუ შეატყობდა, რომელიმე ჩათვლემდა: „შე ყურუმსაღოო“ -იკივლებდა. ასე ეწამნენ სამი ღამე. მეოთხე დღეს ბატონი დავითი კონცერტის დროს მთიულურ ცეკვაში სცენაზე ხანჯლებით შემოფრინდა. მოხუცის გამოჩენას უნგრელები ოვაციით შეხვდნენ. დავითმა დაიწყო ხანჯლების დარჭობა იატაკზე, ორი ხანჯალი პირში ჩაიდო, მაგრამ დაკვრა არ მოეწონა და მუსიკოსებს მკაცრად გახედა. ამ დროს ხანჯალი პირში შეუბრუნდა და სისხლმა იჩქეფა. დავითი უგრძნობი დაეცა სცენაზე ცეცხლი დაანთო.

რენცო გოგმანით მიუახლოვდა სულიკოს და ჩასჩურჩულა: სულიკ, მგონი გვეღირსოს დაძინება, დათიკომ ენა მოიჭრაო.

## ესკიმოსქცეული მოცეკვავეები

ქუთაისის ახალგაზრდობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი უნგრეთში გასტროლებით „დააჯილდოვეს“. როცა სსრკ კომკავშირისა და სუკ-ის თავკაცები ანსამბლს აცილებდნენ, პირობა მისცეს, თქვენს წარმატებებს საგანგებოდ აღვნიშნავთო. ტურნე მართლაც დიდი წარმატებით დამთავრდა, მაგრამ მოსკოვში დაბრუნებულ ანსამბლის წევრებს უთხრეს, თქვენი ადგილები სასტუმრო „იუნოსტში“ უცხოელებს უჭირავთო. ბოლოს, როგორც იქნა, სადასნებული მხოლოდ გოგონებს გამოუნახეს, ვაჟები კი მიიყვანეს საავიტაციო „ორანჟერეაში“ მოათავსეს, სადაც ღამე იატაკზე დაფენილ ლეიბზე უნდა გაეთიათ. ღამით ყინვამ მინები ათასგვარად მოხატა, სიცივისაგან ძილი არავის უკარებოდა.

-როგორ ხართ, ბიჭებო? - იკითხა დილით ხელმძღვანელმა. მოცეკვავეთაგან ერთ-ერთმა გაყინული თავი ძლივს წამოსწია და სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა:

-ესკიმოსავით, პატივცემულო, უკან ჯოხებიღა გვაკლია.

# სხვადასხვა

## გენიოსები და შეშლილები

გერმანელი პოეტი ლენაუ წერდა: „მე ვგრძნობ, რომ ვუახლოვდები ჩემს აღსასრულს: სიგიჟის დემონი ეუფლება ჩემს გულს, მე შეშლილი ვარ. შეიძლება იფიქრო, რომ ეშმაკი ნადირობს ჩემს მუცელში. მე მესმის იქედან ძაღლების გამუდმებული ყეფა და ავბედითი ჯოჯოხეთური ხმაური“.



უნგრელ მოღვაწეს, სეჩენს, დაემართა დევნის მანია. მასვე, ორმოცდაათი წლის ასაკში, განუახლდა წინანდელი გატაცება ჭადრაკისადმი, მაგრამ ამანაც მალე მანიის ხასიათი მიიღო. ახლობლებს მოუხდათ სტუდენტის დაქირავება, რომელსაც დღეში 10-12 საათს ეთამაშებოდა. ამან სტუდენტზე იმდენად უარყოფითად იმოქმედა, რომ შეიშალა, მაგრამ, სამაგიეროდ, სეჩენი გამოჯანმრთელდა.

კოდაცი უარს ეუბნებოდა დახმარებაზე შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისულ მშობლებს, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ გარკვეული თანხა დააბანდა თავის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

რუსოს ლონდონში ჩასვლისას მელანქოლია ნამდვილ მანიად გადაექცა. ეჩვენებოდა, რომ შუაზიელი დაეძებს მას დასაპატიმრებლად. მიატოვა სასტუმროში ფული, ნივთები და გაიქცა ზღვისპირეთში, სადაც თავს ირჩენდა ვერცხლის კოვზების გაყიდვით.



ცნობილი ანატომი ფოდერა მრავალი უცნაურობით გამოირჩეოდა. ის ირწმუნებოდა, რომ ერთ უბრალო ღუმელში შეუძლია გამოაცხოს პური 2000 კაცისათვის და ორმოცი ჯარისკაცის დახმარებით გააქციოს თუნდაც მილიონიანი არმია.

შოპენჰაუერი 1931 წელს აიტანა შიშის ახალმა შეტევამ, ქუჩაში უმცირესი ხმაურის გაგონებისას ხელს დასტაცებდა დაშნას და თავზარდაცემული ცახცახებდა. მოსამსახურეს არ აძლევდა ნებას, მოეპარსა მისთვის წვერი. მან შეიძულა ქალები, ებრაელები და ფილოსოფოსები, განსაკუთრებით, ეს უკანასკნელნი. ხოლო ძაღლები ისე შეიყვარა, რომ ანდერძით დაუტოვა თავისი ქონების ნაწილი.

იგი უგულო ადამიანი იყო, რაც აიძულებდა ქედმაღლურად განწყობილიყო თუნდაც პატრიოტული გრძნობებისადმი, რომელსაც უწოდებდა „ბრმების ვნებას“ და ყველაზე ბრმას ვნებათაგან. სახალხო აჯანყებაში თანაუგრძნობდა არა აჯანყებულებს, არამედ დამთრგუნველებს. ძაღლების დარად, ჯარისკაცები გახდნენ მისი ქონების მემკვიდრენი.

იტალიელმა მწერალმა ტასომ ლაპარაკი დაიწყო, როდესაც მხოლოდ ექვსი თვისა იყო, ერთი წლისამ იცოდა ლათინური ენა.

# ექიმი



სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა ფერის კბილები აქვს - ზოგს ძლიერ თეთრი, ზოგს მუქი, ზოგს მოყვითალო, ზოგს მონაცრისფრო. ამ თანდაყოლილი ფერის შეცვლა შეუძლებელია. ზოგი ვერ ეგუება მუქ ემალს, გულდასმით იწყებს სხვადასხვა საშუალებით წმენდას და ხეხვას, ხმარობს მარილს, წყალბადის ზეჟანგს, დამწვარ მერქანს და სიმჟავეებსაც კი. ასეთი გაწმენდა ეფექტს არ იძლევა, ხელს უწყობს ემალის ჩამოშლას და კბილის ქსოვილების დაშლას- კარიესული პროცესის განვითარებას.



ხშირად ყვითელი კბილები აქვთ თამბაქოს მწეველებს, მაგარი ჩაის და ყავის მოყვარულებს. კბილის ემალმა დროებით შეიძლება ფერი შეიცვალოს სხვადასხვა გამოსავლების ხმარების გამო (გვირილის, მუხის ქერქის მუქი ნაყენი და სხვ.).

მინანქარზე ლაქის გაჩენა ხშირად კარიესის დასაწყისის მაჩვენებელია. მოსახლეობა უნდა გაეცნოს პირის ღრუს მოვლის მნიშვნელობას, რადგან იგი შესავალი კარია სხვადასხვა დაავადებებისათვის.

...

ძნელია მოიძებნოს სამკურნალო მცენარე, რომელიც კატაბალახას (ვალერიანა) გაუწევს მეტოქეობას.

კატაბალახა ნაზად მოქმედი და სრულიად უვნებელი, დამამშვიდებელი საშუალებაა. იგი იხმარება ნევროზების, ზოგადი აღგზნების, გულსისხლძარღვთა ფუნქციური მოშლილობების, უძილობის სამკურნალოდ. ერთ სუფრის კოვზ დანაწევრებულ, გამომშრალ მასალას დაასხით 1 ჩაის ჭიქა (200 მლ.) მდუღარე წყალი, გააჩერეთ გაგრილებამდე და გაწურეთ. მიიღეთ სუფრის კოვზით 3-4-ჯერ დღეში. ასეთივე წესით მზადდება დამამშვიდებელი ნაკრებების გამონაცემი, რომელთა შეძენა შეიძლება აფთიაქში.

...

წვიმის და თოვლის განადნობი წყალი არ გამოიყენოთ თავის დასაბანად, ჭურჭლის გასარეცხად და საჭმლის მოსამზადებლად, ვინაიდან ასეთი წყალი დაჭუჭყიანებულია მტვრით, ჭვარტლით.

# დიასახლისი



*ფენოვანი ხაჭაპური*

საფუარი ჩავყაროთ თბილ წყალში და დავამატოთ ცოტა შაქარი, რათა არ ამჟავდეს. მოვზილოთ ფაფუკი ცომი ზეთში, ამოსვლის შემდეგ ზეთიანი ხელით ჩავზილოთ (ეს პროცესი გავიმეოროთ ორჯერ) შემდეგ მოვამზადოთ სამი-ოთხი ხაჭაპურის ცომი ცალ-ცალკე: სრიალა მაგიდაზე წავუსვათ კარაქი, გავაბრტყელოთ ერთი გუნდა და ფენის ნახევარ ნაწილს ხელით წავუსვათ კარაქი, დავკეცოთ, შევინახოთ საყინულეში ნახევარი საათით. (ეს პროცესი გავიმეოროთ კიდევ 2-ჯერ) მესამე შემთხვევაში დავახვიოთ რულეტივით, დავაყენოთ ფეხზე, დავარტყათ ხელი და შევინახოთ საყინულეში. 30წთ-ის შემდეგ გამოვიღოთ, გავაკეთოთ რამოდენიმე გუნდა, გავაბრტყელოთ, ჩავდოთ შიგ ყველი, დავკეცოთ კონვერტისებურად და გამოვაცხოთ.

*ფენოვანი ლობიანი*

6 ჩაის ჭიქა პურის ფქვილს დავუმატოთ 2 სუფრის კოვზი ზეთი. ცომი მოვზილოთ საფუარით (ოთახის ტემპერატურის წყლით). გავაჩეროთ ნახევარი საათი; დავაფაროთ სველი ტილო, რათა არ გამოშრეს, შემდეგ მოვჭრათ რამოდენიმე გუნდა, გავაბრტყელოთ რვეულის ფურცლის სისქეზე, ბამბით ან მარლით მოვუსვათ ზეთი, ხელით დავკეცოთ ისე, როგორც ნაპოლეონის ცომი და შევინახოთ მაცივარში 30 წთ. ეს გავიმეოროთ 3-ჯერ. ბოლოს მოვჭრათ პატარ-პატარა გუნდები, გავაბრტყელოთ, ჩავდოთ შიგთავსი და გამოვაცხოთ, მოვუსვათ ზეთი.

ამ მასალით გამოვა 6-8 ცალი ლობიანი.

შიგთავსის მომზადება

გარეცხილი ლობიო ჩავყაროთ ქვაბში, ჩავასხათ წყალი და ვხარშოთ. ადუღებიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩავყაროთ სოდა. 10-15 წთ. ისევ ვადუღოთ და თან ვურიოთ. 15წთ-ის შემდეგ გადმოვიღოთ გავრეცხოთ ცივ წყალში და ისევ შევდგათ ცეცხლზე. როცა მოიხარშება, დავუმატოთ ზეთში მოთუშული ხახვი და მარილი.

ორიგინალური ცომი

დავაყენოთ საფუარი. ჩვეულებრივად ცხიმში მოვზილოთ ცომი, ჩავდოთ ზეთიან ჭურჭელში და ზედაპირზე მოვაფინოთ თხლად დაჭრილი კარაქი. როცა ამოვა, ჩავზილოთ. კარაქი თავისთავად ჩადნება. მეორედაც გადავზილოთ. ცომი გამოვა ნამდვილი საოცრება.

# სად როგორ ხვდებიან ახალ წელს

აზიის და აფრიკის ბევრ ქვეყანაში ახალ წელიწადს პირველი იანვრის გარდა სხვა დროსაც აღნიშნავენ: ეთიოპიაში 10 ან 11 სექტემბერს, ინდოეთში სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ რელიგიის შესაბამისად, ირანში 21 მარტს.

ირანელები ახალ წელიწადს „ნოვრუზს“ უწოდებენ და 13 დღის მანძილზე ზეიმობენ. ახალი წლის ღამეს ეზოებში კოცონს ანთებენ, ალს გადაახტებიან და ასე განიწმინდებიან.

ჩილელებსა და იაპონელებს დღემდე შერჩათ ერთი ჩვეულება: წელიწადის დამდეგისათვის ისტუმრებენ ყველა ვალს, რათა ძველი ვალებით არ შეხვდნენ ახალ წელს.

რუმინეთში საახალწლო სუფრაზე ნამცხვრებში მუდამ რაღაც სიურპრიზია ხოლმე, მაგალითად, შიგ ჩატანებულია ფულები, ბეჭდები, ცხარე წიწაკა. ბეჭედი ვისაც შეხვდება, გაიხარებს, მაგრამ ცეცხლივით წიწაკას ვინც იგემებს...

კუბაში ახალი წლის დადგომისას ჭურჭლებს წინდაწინ წყლით ავსებენ და როცა საათი სამჯერ დარეკს, წყალს ფანჯრებიდან ღვრიან, ამით ძველ წელს წყალსატანენ, ამას გარდა ყველამ უნდა იგემოს ყურძნის მარცვალი - ახალი წელი ასე ტკბილად გაგვეტარებინოსო.

უნგრეთში პირველ იანვარს გოგო-ბიჭები ქუჩებში გამოეფინებიან, შეჩერდებიან ყოველი ფანჯრის წინ, გამოიძახებენ მასპინძელს და უსურვებენ ავსებულიყოს მისი ბეღლები მარცვლით, გავსებულიყოს კასრები ღვინით... მასპინძლები შინ შეიპატიჟებენ კეთილ მსურველებს და სადღესასწაულო სუფრას უშლიან მათ. საინტერესოა, რომ უნგრეთში საახალწლო სუფრაზე არ გაჭაჭანდება ფრინველის ხორცი. ხალხს ღრმად სწამს, რომ ცოცხალ ქათმებს, ინდაურებს, იხვებს, ბატებს გაანაწყენებს, გაფრინდებიან და თან წაიღებენ ბედნიერებას.

ვიეტნამში, როცა ღედამიწას ბინდი შებურავს, კოცონებს გააჩაღებენ, მასთან იკრიბება მთელი ოჯახი და საკვერცხლებზე ამზადებენ ბრინჯის შეჭამადს „ხან-ჩანგს“ და ღამესაც იქვე ათევენ. მეორე დღეს კი ვიეტნამელებს შინიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

დეკემბრის უკანასკნელ დღეს, როგორც კი საათი თორმეტჯერ შემოჰკრავს, ოჯახის რომელიმე წევრი კარს მივარდება და ფართოდ აღებს, „რათა რაც შეიძლება მალე გაუშვას ძველი და შემოუშვას ახალი წელი“ - ასე მოითხოვს შოტლანდიაში არსებული ძველი ჩვეულება. შემდეგ, ცხადია, გაისმის სადღესასწაულო სადღეგრძელოები. შეკრებილები ხელიხელჩაკიდებულნი მღერიან ეროვნულ სიმღერას ბერნსის სიტყვებზე. მაგრამ ეს ყველაფერი როდია, საუკუნეთა მიღმიდან დღემდე მოაღწია სხვადასხვა რწმენამ, რომლებიც აქამდე შენარჩუნებულია შოტლანდიის ზოგიერთ კუთხეში. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ახალ წელს სახლში პირველი ვინ შემოაბიჯებს. თუ შავგვრემანი შემოვა, ეს კარგის ნიშანია, ბობრი ან მწითური - ავის მაუწყებელია, ქალის გამოჩენა ღმერთმა დაგვიფაროს - ეს უბედურების მომასწავებელია.

თურქეთში ასეთი ჩვეულება აქვთ: 31 დეკემბერს ზუსტად შუაღამეს მცირე ხნით ქრება შუქი. სიბნელეში გაისმის მხიარული ყიჟინა. დამსწრეები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ცდილობენ აკოცონ თავიანთ მეზობლებს, როცა შუქი აინთება, სადღესასწაულო ვახშამს მიუბრუნდებიან. თუ ოჯახს საშუალება აქვს, საახალწლო სუფრა 30-40 კერძისაგან მაინც უნდა შედგებოდეს.

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი დანელია, სოფიკო კაშაძე, გიორგი ლომსიანიძე, ტარიელ ფუტკარაძე, ირმა ჩხეიძე, თეა ცირეკიძე, ლელა ხაჭაპურიძე (რედაქტორი)

დირექტორატი:
აკაკი ბაკურაძე,
ლევან ფრუიძე,
კობა ცერცვაძე.

რედაქციის მისამართი:
ტელ.: 3-36-03
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
ტირაჟი 400